ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba



გვ.4 ბიძინა გუჯაბიძე: „ვაშაძეს კავშირი არ გაუწყვეტია სააკაშვილთან“

7 ივნისიდან
სამკურნალო მცენარეები
ფასი გაზეთთან ერთად 18 ლარი




ხუთშაბათი, 9 ივნისი, 2016 | №135 (7061) | ფასი: 50 თეთრი

# ნუგზარ წიკლაური: „ბიძინა ივანიშვილი მიდის“

„ხელისუფლების განცხადებების კომენტირება უკვე შეუძლებელია“



გვ.3



## „ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბს კახა კალაძე უხელმძღვანელებს

გვ.2



## რაზე ისაუბრეს ბიძინა ივანიშვილმა, კახა შარტავამ და გუბაზ სანიკიძემ

გვ.3



ანი მიროტაძე: „ქვეყნის მართვის სისტემა შესაცვლელია“

გვ.4



## ბესო დანელია: „ხმალაძეს ცხვირწინ დავუხიეთ კანონპროექტი“

„ბერძენიშვილმა გვითხრა, გარეთ გამოდითო, გავედით, ის კი თამარ კორძაიას ამოეფარა“



## პატრიოტთა ალიანსმა 5 პარტია მიიერთა

გვ.2

ISSN 1987-9
9 771987 93

## უსუფაშვილი: „ვიზალიბერალიზაცია აუცილებლად გვექნება“

გვ.2





## რამაზ საყვარელიძე: „ორპოლუსიანობა ივანიშვილის მიზანი არ არის“

გვ.5

# უსუფაშვილი: „ვიზალიბერალიზაცია აუცილებლად გვექნება“

## ბუნდესტაგის პრეზიდენტი: „საქართველოში არჩევნებამდე ვიზალიბერალიზაციის საკითხი ღიად არ უნდა დარჩეს“



## ევროკავშირის ელჩებმა საქართველოს საკითხი გადადეს

**გუშინ, 8 ივნისს, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი ბერლინში ბუნდესტაგის პრეზიდენტ ნორბერტო ლამერტს შეხვდა.**

**საუბარი საქართველოსთვის ვიზალიბერალიზაციის მინიჭების საკითხს შეეხო.**

– ვართ ძალიან ოპტიმისტურად, რომ კონკრეტულად საქართველოს მიმართ ვიზალიბერალიზაციის გადაწყვეტილება იქნება მალე და იქნება დადებითი, – განაცხადა უსუფაშვილმა შეხვედრის შემდეგ გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე.

მან აღნიშნა, რომ ჩვენ თუ გვინდა ოდესმე გავხდეთ ევროპის სრულფასოვანი წევრი, უნდა ვისწავლოთ არა მხოლოდ ევროპული სიკეთეების გათავისება, არამედ ევროპული პრობლემების გადაწყვეტაში ჩვენი წვლილის შეტანაც.

– ამიტომ, ჩვენ ძალიან ყურადღებით ვისმენთ ჩვენი პარტნიორების მოსაზრებებს იმ ნიუანსებთან დაკავშირებით, რომლებიც სხვადასხვა დონეზე იხილება. ჩვენ ყველა თავს ვიკავებთ კონკრეტული თარიღების დასახელებისგან, თუმცა, საქართველოში საპარლამენტო არჩევნებამდე ყველას გვინდა, რომ პოლიტიკური გადაწყვეტილება იყოს მიღებული, – განაცხადა უსუფაშვილმა.

ბუნდესტაგის პრეზიდენტმა ნორბერტო ლამერტმა ხაზი გაუსვა, რომ საქართველომ შეასრულა ყველა ვალდებულება.

– ამის შემდეგ გერმანიას აქვს დეკლარირებული ინტერესი, ვიპოვოთ ისეთი გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც, საქართველოში არჩევნების ჩატარებამდე ვიზალიბერალიზაციის საკითხი ღიად არ იყოს დარჩენილი, – განაცხადა მან.

ლამერტმა აღნიშნა, რომ დროულად უნდა გადაწყდეს ის პრობლემები, რომლებიც ევროკავშირის შიგნით არსებობს.

– მაგრამ მაინც მინდა ხაზი გავუსვა იმას, რომ ვიზალიბერალიზაციის შესახებ გადაწყვეტილება გახლავთ უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე კონკრეტული თარიღი. ბატონ უსუფაშვილსაც არ დაუყენებია ეჭვქვეშ ის ფაქტი, რომ არსებობს მთელი რიგი მოსაგვარებელი პრობლემები, მაგრამ ეს არ არის ორმხრივი ურთიერთობების საკითხი.

ჩვენ გვჭირდება ევროპული გადაწყვეტილება, რომელიც მოიცავს სხვა ქვეყნებთან ვიზალიბერალიზაციას. უნდა ვიპოვოთ ისეთი მექანიზმი, რომელიც მომავალში სხვა ქვეყნებსაც გამოადგება, – განაცხადა ბუნდესტაგის პრეზიდენტმა.

10 ივნისს ბრიუსელში გაიმართება ევროკავშირის შინაგან საქმეთა მინისტრების შეხვედრა.

– ჩვენ გვაქვს დეკლარირებული ინტერესი იმისა, რომ ამ შეხვედრაზე მოიძებნება კონკრეტული მექანიზმები, თუ როგორ უნდა განხორციელდეს ვიზალიბერალიზაცია, – დასძინა ნორბერტო ლამერტმა.

◆ ◆ ◆

გუშინ ევროკავშირის ქვეყნების ელჩებმა საქართველოსთვის ვიზალიბერალიზაციის საკითხის განხილვა გადადეს. ეს გერმანიის, საფრანგეთისა და იტალიის წინააღმდეგობის გამო მოხდა.

გუშინ ევროკავშირის მუდმივ წარმომადგენელთა კომიტეტის სხდომაზე საქართველოსთვის უვიზო რეჟიმის შემოღების საკითხზე კვლავ იყო მსჯელობა. საფრანგეთმა, გერმანიამ და იტალიამ ამ პროცესის წინ წაწევას მხარი არ დაუჭირეს.

გერმანიის წარმომადგენელმა ასეთი პოზიციის ერთ-ერთ მიზეზად დაასახელა გერმანიაში ქართული კრიმინალური დაჯგუფებების გაძლიერება.

მისი თქმით, ქართველების მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებები საზოგადოების შეშფოთების მიზეზი გახდა.

სხდომაზე გაკეთდა განცხადება, რომ სანამ ევროკავშირში საქართველოსთვის ვიზალიბერალიზაციის საკითხზე პროცედურები გაგრძელდება, თბილისმა ამ პრობლემის გადაწყვეტაში საკუთარი წვლილი უნდა შეიტანოს.

საქართველოსთვის ვიზალიბერალიზაციის დაწესებაზე ევროკავშირის წევრი ქვეყნების შინაგან საქმეთა მინისტრები 10 ივნისს იმსჯელებენ.

# პატრიოტთა ალიანსმა 5 პარტია მიიერთა

**შორენა მარსაგიშვილი**

გასული კვირის დამლევს გავრცელდა ინფორმაცია, რომ პატრიოტთა ალიანსთან ალიანსში შესვლას რამდენიმე პოლიტიკური პარტია აპირებდა.

ეს ინფორმაცია თავიდან არავინ დაიჯერა, რადგან პარტიის ლიდერები ხაზგასმით ამბობდნენ, რომ ისინი დამოუკიდებლად აპირებდნენ არჩევნებში მონაწილეობას, მაგრამ რეალობა სხვანაირი აღმოჩნდა.

ახალ გაერთიანებას, რომელიც საარჩევნო ბლოკად ჩამოყალიბდა, გრძელი სახელი ერქმევა: „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი – პატრიოტთა ალიანსი – გაერთიანებული ოპოზიცია“.



ახალი საარჩევნო ბლოკი 6 პოლიტიკურ სუბიექტს აერთიანებს. ესენი არიან თავად პატრიოტთა ალიანსი, კახა კუკავას პარტია თავისუფალი საქართველო, კონსტანტინე გამსახურდიას პარტია თავისუფლება, აკაკი ასათიანის ტრადიციონალისტთა კავშირი, გოჩა ჯოჯუას ახალი ქრისტიან-დემოკრატები და გია ბერძენაძის ძალოვან ვეტერანთა და პატრიოტთა პოლიტიკური მოძრაობა.

ბლოკის შექმნის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად ირმა ინაშვილმა არსებული საარჩევნო კანონმდებლობა დაასახელა.

– ჩვენ იმიტომ შევქმენით ეს საარჩევნო ბლოკი, რომ ქვეყანაში არის უთანასწორო და უსამართლო საარჩევნო გარემო. „ქართულმა ოცნებამ“ არ შეცვალა ის კანონმდებლობა, რაც სააკაშვილის რეჟიმმა შექმნა. ასეთ უთანასწორო პირობებში ჩვენ ჩვენი მოთხოვნები ჩამოვაყალიბეთ და მივმართეთ ხელისუფლებას.

ერთ-ერთი მათგანი ითვალისწინებდა იმ გამგებლებისა და პოლიციის უფროსების სისხლის სამართლებრივ დასჯას, რომლებიც დგანან საარჩევნო უბნების წინ და ამომრჩევლებს პირდაპირ თუ ირიბად აშინებენ. ამის ნაცვლად, ხელისუფლება იწყებს იმ კანონის მიღებას, რომლის თანახმადაც, თუ ჩვენ ასეთ გამგებელს საარჩევნო უბნის წინ გადავეყრებით და მასთან ფიზიკური შეხლა-შემოხლა მოგვივა, უკვე ჩვენ დაგვაპატიმრებენ. ეს ყველაფერი არის შეუთავსებელი, – განაცხადა ინაშვილმა.

მისი თქმით, ხელისუფლებამ მათ ცესკოში წევრის მიღებაზე უარი უთხრა, ასევე წაართვა უფასო საეთერო დრო.

– ჩვენ ასევე გვართმევენ უფასო საეთერო დროს. იყო ყოველ საათში დაახლოებით 1 წუთი და ახლა იქნება 24-27 წამი. ამ დროში რა უნდა თქვას პოლიტიკურმა პარტიამ? ჩვენთვის წართმეულ უფასო სარეკლამო დროს რესპუბლიკურ პარტიასა და სხვა პარტიებზე ანაწილებენ. რით დაიმსახურა რესპუბლიკურმა პარტიამ ის, რომ ჩვენ წაგვართვან საეთერო დრო და მათ მისცენ? – იკითხა ინტერპრესნიუსთან საუბარში ალიანსის ლიდერმა.

ირმა ინაშვილის განცხადებით, საარჩევნო ბლოკი, ორი პარტიის გარდა, ყველა ძალასთან ითანამშრომლებს. ინაშვილმა და კომპანიამ შავ სიაში ნაციონალები და რესპუბლიკელები შეიყვანა.

– იმდენად უთანასწოროა ეს საარჩევნო გარემო, რომ ჩვენ ძალები უნდა გავაერთიანოთ. ამ მოწოდებით გამოვიდა პატრიოტთა ალიანსი და ამის საფუძველზე შეიქმნა დღეს 6 პარტიისგან შემდგარი ბლოკი. თუმცა ჩვენი კარი ღიაა და სხვა პარტიებთანაც გავმართავთ კონსულტაციებს, ოღონდ ხაზგასმით ვამბობ, რომ ნაციონალურ მოძრაობასთან არანაირი საუბარი არ შედგება, ასევე რესპუბლიკურ პარტიასთან საუბარი არ გვექნება ბლოკთან დაკავშირებით, – განაცხადა ინაშვილმა.

უკვე დაწყებულია მოლაპარაკებები სხვადასხვა პარტიებთან. არ არის გამორიცხული, რომ მათთან გაერთიანდეს გოგო თოფაძე. ალიანსი და მრეწველები ხშირად იდგნენ ერთ პოზიციაზე და თინა ხიდაშელთან ომშიც ერთად ჩაერთვნენ.

არსებობდა ვარაუდი, რომ ალიანსთან თამაზ მეჭიაურიც ითანამშრომლებდა, თუმცა მან თავისი პარტია შექმნა და მარტო აპირებს ბრძოლას.

# „ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბს კახა კალაძე უხელმძღვანელებს



„ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბს კახა კალაძე უხელმძღვანელებს. შტაბის ხელმძღვანელი პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა „ქართული ოცნების“ ოფისში რამდენიმე წუთის წინ წარადგინა.

**გიორგი კვირიკაშვილი:**

– ჩვენი მთავარი მიზანია, რომ კონკურენცია კონფრონტაციაში არ გადაიზარდოს.

პარტიის თავმჯდომარის თქმით, ამ მიმართულებით სახელისუფლო ძალას გაათმაგებული პასუხისმგებლობა აკისრია.

– თავის მხრივ, სხვა პოლიტიკურ ძალებსაც, რა თქმა უნდა, აკისრიათ პასუხისმგებლობა, რათა კიდევ ერთხელ დაამტკიცონ, რომ საქართველო არის უპირველეს ყოვლისა. ჩვენ უნდა გავუფრთხილდეთ ქვეყანას, რადგან მომავალი არჩევნების დემოკრატიულობის ხარისხზე იქნება დამოკიდებული ჩვენი ქვეყნის მომავალი განვითარება, – აღნიშნა გიორგი კვირიკაშვილმა.

მისივე შეფასებით, „ქართულმა ოცნებამ“ დაამტკიცა, რომ ის არის სტაბილური ძალა, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის სწრაფ და სტაბილურ განვითარებას და მოიტანს უკეთეს მომავალს.

**კახა კალაძე:**

– ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ ღირსეულად გავართვა თავი ამ საპასუხისმგებლო მისიას. დღეიდან ვიწყებთ აქტიურ მზადებას არჩევნებისთვის, რომელშიც „ქართული ოცნება“ მონაწილეობას მიიღებს დამოუკიდებლად.

არჩევნები ჩატარდება დემოკრატიულ, სამართლიან მშვიდობიან გარემოში. ამ არჩევნებით საერთაშორისო თანამეგობრობას დავანახებთ, რომ დემოკრატიული პროცესები საქართველოში შეუქცევადია.

პრემიერ-მინისტრმა არჩევნებთან დაკავშირებით პრეზიდენტის მიერ გამოცემულ განკარგულებას დღეს ხელი მოაწერა. განკარგულებები როგორც საქართველოს საპარლამენტო არჩევნების, ისე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ პრეზიდენტის ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

არჩევნების დანიშვნის თაობაზე გამოცემული სამართლებრივი აქტების გამოქვეყნებისთანავე კი წინასაარჩევნო კამპანია დაიწყო.

წინასაარჩევნო კამპანიის დაწყების დღიდან კი ძალაში შედის შეზღუდვები, რაც სახელმწიფო სტრუქტურების და სახელმწიფო მოხელეებისა და თანამდებობის პირების მიმართ არსებობს. როგორც კი არჩევნების დანიშვნის თაობაზე ბრძანებას მოეწერება ხელი, ამოქმედდება აკრძალვები, რომელიც წინასაარჩევნო პერიოდში ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების, საბიუჯეტო თანხების, თანამდებობრივი ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენების კუთხით არსებობს.

ამასთან, არჩევნებამდე არაუგვიანეს 60 დღისა, დაიწყება ის ძირითადი ღონისძიებები, რომელიც საარჩევნო ადმინისტრაციებს და კანდიდატებს უკავშირდება.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ნუგზარ წიკლაური: „ბიძინა ივანიშვილი მიდის“

## „ხელისუფლების განცხადებების კომენტირება უკვე შეუძლებელია“

შორენა მარსაგიშვილი

ვინ ან რამ აიძულა ივანიშვილი დაეგმო კორცხელის ინციდენტი, ვის გაუჭირდება საარჩევნო ბარიერის გადალახვა, რა შეუსაბამო განცხადებებს აკეთებს ხელისუფლება? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ ნაცმოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ნუგზარ წიკლაური ესაუბრება.



**ნუგზარ წიკლაური:**

- ბიძინა ივანიშვილმა დაგმო და გაემიჯნა კორცხელის ინციდენტს, მაგრამ ეს არაფერს შეცვლის. ის ხალხი, რომელიც ამ დარბევაში მონაწილეობდა, არ დაისჯება. ეს განცხადება მხოლოდ იმიტომ გაკეთდა, რომ ივანიშვილს სხვა გამოსავალი არ ჰქონდა, იმდენად ნათელი იყო ყველაფერი. ყოფილი პრემიერი მართლა რომ გმობდეს ამ ფაქტს, მაშინ იმის გამოძიებას მოითხოვდა, როგორ აღმოჩნდა 50 მოჭიდავე და მოკრივე კორცხელში.

ამ დაგმობის პარალელურად ივანიშვილმა ისაუბრა იმ პროვოკაციაზე, რომელიც თითქოსდა ჩვენ მოვაწყვეთ. არადა ყველაფერი მშვიდობიანად მიდიოდა, მაგრამ როცა დაინახეს, რომ არჩევნების აგებდნენ, 50 ზონდერი მიუსიეს მშვიდობიან მოსახლეობას.

***– ამ განცხადების შემდეგ გაჩნდა მოსაზრებები, რომ კახა კალაძეს მოუწევს თანამდებობის დატოვება. თქვენი აზრით, შეელევიან ვიცე-პრემიერს?***

– ვერ გეტყვით, შეელევიან თუ არა. ჩვენ საპარლამენტო ტრიბუნიდან მოვითხოვეთ ენერგეტიკის მინისტრის დაკითხვა. საპარლამენტო სხდომებსაც ამიტომ ვუცხადებთ ბოიკოტს, რომ დამნაშავეების გამოვლენა და სათანადოდ დასჯა არ მოხდა. ეჭვი მეპარება, რომ ამის გამო ვინმე დასაჯონ. კომიკური სასჯელები ბოლომდე ძალაში დარჩება. საერთაშორისო თანამეგობრობის აღშფოთება რომ არა, ეს სასჯელებიც არ დადგებოდა.

***– თქვენ თვლით, რომ ეს განცხადება მხოლოდ დასავლეთისთვის იყო გაკეთებული?***

– ასე გამოდის. ეს ფაქტი რომ არ დაეგმოთ, ჩვენს დასავლელ პარტნიორებს კიდევ უფრო მწვავე რეაგირება ექნებოდათ.

***– თქვენი პარტიის წარმომადგენლები ივანიშვილის ერთმა განცხადებამ აღაშფოთა ძალიან. მისი პროგნოზით, შესაძლოა, ნაცმოძრაობამ საარჩევნო ბარიერიც კი ვერ გადალახოს. რა აძლევს ყოფილ პრემიერს ამის თქმის საფუძველს?***

– ამ განცხადებიდანაც ჩანს, როგორი არაადეკვატურია ხელისუფლება. ჟურნალისტებთან შეხვედრის დასაწყისში ივანიშვილმა თქვა, ხელისუფლებაში ნაცმოძრაობის დაბრუნების საფრთხე არსებობსო. ცოტა ხნის შემდეგ კი განაცხადა, საარჩევნო ბარიერის გადალახვაც გაუჭირდებათო. ძალიან ძნელი ამოსაცნობია, რისი თქმა სურდა რუს ოლიგარქს. ამ გამონათქვამებში ლოგიკა არ არსებობს.

ბოლო პერიოდში რამდენიმე ორგანიზაციამ ჩაატარა სოციოლოგიური კვლევა. ამ კვლევის თანახმად, ჩვენ და „ქართულ ოცნებას“ გვაქვს თანაბარი პოზიციები. ამას დავამატოთ 22 მაისს ჩატარებული შუალედური არჩევნები, სადაც ჩვენ კარგი შედეგი დავდეთ. ამ ყველაფერს თუ შევხედავთ, ნათელია, რომ არჩევნებზე წარმატების შანსები გაქვს.

ამ დროს მათი რეიტინგი ნელ-ნელა ქვევით მიდის. მესმის, რომ საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ჩატარებულ კვლევებს არ ენდობიან, მაგრამ ეს სურათი დაუდგათ მაშინ, როცა თავად ჩაატარეს კვლევა. ამ კვლევის შედეგები ერთ-ერთმა სააგენტომ გამოაქვეყნა.



ირაკლი ღარიბაშვილი ჩვენზე ამბობდა, ბარიერს ვერ გადალახავენ და რადარებიდან გაქრნენო. მერე ყველამ ვნახეთ, ვინ გაქრა რადარებიდან. ის თავისმა გუნდმა ძალიან სამარცხვინოდ გააგდო, ხოლო ჩვენმა პარტიამ 4 უბნიდან 2-ში არჩევნები მოიგო. ერთსა და იმავე საკითხზე საუბრისას ერთსა და იმავე შეხვედრაზე ივანიშვილის პოზიციების შეუთავსებლობა „ქართულ ოცნებაში“ არსებულ ისტერიაზე მიუთითებს. მათ ძალიან კარგად იციან, რომ არჩევნებს წააგებენ.

***– მათ შეიძლება წააგონ არჩევნები, მაგრამ ეს იმას ხომ არ გამორიცხავს, რომ სხვას გაუჭირდება ბარიერის გადალახვა.***

– ის სხვა ჩვენ ნამდვილად არ ვიქნებით. კორცხელში ჩვენ 60% ავიღეთ და თუ ახლა 60%-იან ბარიერს დააწესებენ, მაშინ მას ვერც ერთი პარტია ვერ გადალახავს. სხვა შემთხვევაში ჩვენი გამარჯვება გარდაუვალია. „ქართულ ოცნებას“ კი მართლა ძალიან გაუჭირდება ბარიერის გადალახვა.

***– ამ მიმართულებით ყოფილი პრემიერი ოპტიმისტურად არის განწყობილი. მისი მტკიცებით, მომავალ არჩევნებზე მისი გუნდი 95 დეპუტატს მაინც გაიყვანს. ამ პროგნოზზე რას ფიქრობთ?***

– რა უნდა ვთქვათ ამ ვარაუდზე, მათივე გამოკითხვებიდან ჩანს, რომ „ქართული ოცნების“ რეიტინგი უკან-უკან მიდის. ძალაუფლების შესანარჩუნებლად შესაძლოა მათ ფული დახარჯონ, ან ისეთი ძალადობა გაიმეორონ, როგორსაც კორცხელში ჰქონდა ადგილი. ასეთი ძალადობა შედეგს რომ არ გამოიღებს, ეს კორცხელშიც გამოჩნდა. ხალხს თუ გადაწყვეტილი აქვს, ხმა მისცეს თავის რჩეულს, ყველაფრის მიუხედავად, მას მისცემენ ხმას.

როდესაც 4 წლის მანძილზე არაფერს გააკეთებ და ხალხის მოტყუებით იქნები მარტო დაკავებული, საკადრის პასუხს არჩევნებზე მიიღებ. იმის ნაცვლად, რომ შეუსრულებელი დაპირებების გამო ბოდიში მოეხადა, ივანიშვილმა მორიგი ტყუილი იკადრა და განაცხადა, 700 საწარმო ავაგუგუნეთო. ამის საპასუხოდ მას ხალხი სახლში გაუშვებს. ყოფილ პრემიერს მარტო სახლში კი არ მოუწევს წასვლა, საქართველოსაც დატოვებს. ეს მან თავად იწინასწარმეტყველა.

ტელევიზიებთან შეხვედრისას მან თქვა, დამარცხების შემთხვევაში სახლში წავალო. ეს მისი სიტყვებია და მართლაც წავა.

# რაზე ისაუბრეს ბიძინა ივანიშვილმა, კახა შარტავამ და გუბაზ სანიკიძემ

## ანი მიროტაძე: „ქვეყნის მართვის სისტემა შესაცვლელია“

ნონა ცაბაძე

გაიყარა თუ არა საბოლოოდ ფორუმის და „ოცნების“ გზები, რა თემებზე იყო საუბარი ბიძინა ივანიშვილის ფორუმის ლიდერებთან შეხვედრისას? „ახალ თაობას“ ამ და სხვა საკითხებზე ფორუმის ერთ-ერთი ლიდერი, ანი მიროტაძე ესაუბრა.



***– ანი, რა დამატებით დეტალებზე შეგიძლიათ საუბარი, რაც ჩვენთვის დღემდე უცნობია? რატომ წამოვიდა თქვენი პარტიის ლიდერების მხრიდან ამხელა კრიტიკა ივანიშვილის მისამართით და მართლაც შედგა თუ არა შეხვედრა ივანიშვილს, შარტავასა და სანიკიძეს შორის?***

– დიახ, დაგიდასტურებთ, რომ ეს შეხვედრა ნამდვილად შედგა და ეს იყო ჩვენი კოალიციის დატოვების შემდეგ. შეხვედრა შედგა ბიძინა ივანიშვილის ინიციატივით. ამ შეხვედრას მე არ ვესწრებოდი, ესწრებოდნენ კახა შარტავა და გუბაზ სანიკიძე.

***– რა საკითხებზე ისაუბრეს?***

– განხილული იყო საკითხები, თუ როგორ მოვედით აქამდე, ჩვენ მიერ მიღებული გადაწყვეტილება ხომ არ უკავშირდებოდა რაიმე გაუგებრობას. ამაზე ვუთხარით, რომ არა და ჩვენ გვინდა ცალკე ვცადოთ შესაძლებლობები. იყო საუბარი პოლიტიკაზე, სამომავლო გეგმებთან დაკავშირებით. მან აზრი ჰკითხა კახა შარტავას.

***– რასთან დაკავშირებით?***

– თუ როგორი უნდა ყოფილიყო ივანიშვილის როლი და ფუნქცია. ბიძინა ივანიშვილი მნიშვნელოვანი პოლიტიკური პროცესის ლიდერი იყო, რომელიც დასრულდა გამარჯვებით და მისმა ფაქტორმა ამ პროცესში გადამწყვეტი როლი შეასრულა და შემდეგ დატოვა თავისი თანამდებობა. კახა შარტავამ მას ურჩია, რომ უმჯობესი იქნებოდა, ის დარჩენილიყო კვლავ ფაქტორად და არ ყოფილიყო რომელიმე მხარე.

***– მხარეში რა იგულისხმა? „ქართული ოცნება“?***

– რასაკვირველია, „ქართული ოცნება“. ეს რჩევა რამდენად გაითვალისწინა, ან სხვასაც თუ ჰკითხა აზრი, დარჩენილიყო თუ არა პოლიტიკაში, ეს ჩვენთვის უცნობია. თუმცა ფაქტი ის არის, რომ ის აპირებს მიეხმაროს „ქართულ ოცნებას“. არ ვიცით, ამის მოტივი რა იყო, მიაჩნია, რომ „ოცნებას“ მისი დახმარება სჭირდება, ან ამით უნდა, რომ ხალხს ანგარიში ჩააბაროს საარჩევნო პროცესში.

***– რას იტყვით წერილზე და გუბაზ სანიკიძის განცხადებაზე?***

– წერილს სხვადასხვა შეფასებები მოჰყვა. მე ნამდვილად არ მომეჩვენა, რომ წითელი ხაზების გადაკვეთაზე იყო საუბარი, იქ ხაზგასმულად იყო ნათქვამი, რომ ეს წერილი არ იყო ამ კატეგორიის ადამიანისთვის დაწერილი ტექსტი და გუბაზ სანიკიძემ ხაზი გაუსვა, რომ არაკვალიფიციური და უნიჭო ადამიანის მიერ იყო დაწერილი.

***– კი მაგრამ, ეს წერილი ხომ ივანიშვილს ეკუთვნის?***

– თქვენც ხომ კარგად ხვდებით, რომ ასეთი ტიპის წერილებზე ხშირ შემთხვევაში ერთი და ორი ადამიანი არ მუშაობს. მუშაობს გუნდი და ეტყობოდა კიდეც.

***– ანუ ხაზი გაუსვა იმას, რომ ეს დაუწერეს ბიძინა ივანიშვილს და ეს იყო უნიჭოდ დაწერილი?***

– დიახ, დაუწერეს და ეს იყო უნიჭოდ დაწერილი წერილი, სწორედ ამას გაუსვა ხაზი. ჩვენც გვინდა, რომ ყველაფერი კარგად იყოს, მაგრამ წერილში რაზეც იყო საუბარი, ის აცდენილია ჩვენს რეალობასთან. ჩვენ ყველამ კარგად ვიცით, რომ ჩვენი მოსახლეობის უმრავლესობა შიმშილობს და დამოკიდებულია ბანკის კრედიტებზე, ხოლო ამ კრედიტების პროცენტები მძიმედ აწევს თითოეულ ოჯახს.

***– შეფასდა, რომ გუბაზ სანიკიძის განცხადებები იყო განაწყენებული პოლიტიკოსის განცხადება. ასეა?***

– არა, არც ერთ შემთხვევაში. ჩვენ არ გვაქვს განაწყენების მიზეზი. ხაზგასმით ვამბობ, რომ ჩვენ არც არავის გამოვუგდივართ კოალიციიდან, არც გაბრაზებულებს გამოგვიკეტია კარი და წამოვსულვართ. ეს გადაწყვეტილება პარტიამ მიიღო. განაწყენების მიზეზი არ არსებობს. თუმცა მოვიდა დრო, იმაზეც ვილაპარაკოთ, რომ სერიოზული შეცდომები იყო დაშვებული მართვაში. ქვეყნის მართვის სისტემა შესაცვლელია.

***– საუბრობენ იმაზეც, რომ ივანიშვილი გუბაზ სანიკიძეზე 2012 წლის მერეა ნაწყენი, ვგულისხმობ იმ გახმაურებულ ჩანაწერებს. ამ შეხვედრაზე მსგავს თემებზეც ხომ არ ყოფილა საუბარი?***

– ჩემი ინფორმაციით, არ ყოფილა. ეს თემა უფრო მასშტაბურად არის ქცეული, ვიდრე ეს არის. ასე არ ხდება. ჩვენ ამ ხნის განმავლობაში ვიყავით თანამებრძოლები და ბევრი მნიშვნელოვანი ეტაპი გავიარეთ ერთად. ჩვენ წყენის და გაბრაზების დრო არ გვქონდა. პირადი ურთიერთობებით ჩვენ არ ვხელმძღვანელობთ. იმას, რაც არ მოგვწონს, პირდაპირ ვამბობთ. არ მომწონს ის, რაც სასამართლოში ხდება და ამას ღიად ვამბობ.

***– ჩასაფრებულის პოზიციიდან საუბრობენო.***

– როგორ შეიძლება, იმ გუნდთან იყო ჩასაფრებული, რომელთან ერთადაც ხელისუფლებაში მოვედით. უბრალოდ, ყველაფერი შეიცვალა და ახალი ხედვები და ახალი სახეებია საჭირო. პოლიტიკას ახალი სისხლი სჭირდება.

***– თქვენ არ იყავით ასეთი კრიტიკულები, როდესაც კოალიციაში იყავით.***

– მე ამაში დაგეთანხმებით. როდესაც ხარ გუნდში, გუნდური პრინციპები მოითხოვს, რომ იმუშაო შიგნით. თუმცა ჩემს მაგალითზე ამ შენიშვნას ვერ მივიღებ. პირველი ვიყავი სახელისუფლო გუნდიდან, ვინც გავაკრიტიკე მურუსიძის დანიშვნა. ახლაც ვამბობ, რომ ეს უზარმაზარი სირცხვილია. იყო სხვადასხვა საკითხები, რომლებზეც კატეგორიული და განსხვავებული პოზიცია მქონდა. ფორუმი იყო ერთადერთი, ვინც კოაბიტაციაში არ შევიდა ნაციონალებთან და ჩვენ ვიყავით ის ძალა, რომელსაც არც ერთი მაღალი თანამდებობის პირი არ გვყოლია მთავრობაში. დანარჩენს მკითხველი მიხვდეს, რისი თქმაც მინდა.

***– ანუ ფორუმის და ბიძინა ივანიშვილის გზები, მასთან ერთად „ოცნების“, სამუდამოდ გაიყარა?***

– დღეს ეს მოცემულობა გვაქვს, ამომრჩეველთან მივდივართ მარტო, ეს მოცემულობაა 8 ოქტომბრამდე. რა იქნება 8 ოქტომბრის შემდეგ, ამას წინასწარ ვერ ვიტყვით. ეს ძალიან რთულია. პარლამენტში შესულ სუბიექტებს მოუწევთ განიხილონ კოალიციური მთავრობის შექმნის საკითხი. ჩვენ ვიმოქმედებთ მოცემულობიდან გამომდინარე.

დიახ, დაუწერეს და ეს იყო უნიჭოდ დაწერილი წერილი, სწორედ ამას გაუსვა ხაზი. ჩვენც გვინდა, რომ ყველაფერი კარგად იყოს, მაგრამ წერილში რაზეც იყო საუბარი, ის აცდენილია ჩვენს რეალობასთან. ჩვენ ყველამ კარგად ვიცით, რომ ჩვენი მოსახლეობის უმრავლესობა შიმშილობს და დამოკიდებულია ბანკის კრედიტებზე, ხოლო ამ კრედიტების პროცენტები მძიმედ აწევს თითოეულ ოჯახს.

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# ბიძინა გუჯაბიძე: „ვაშაძეს კავშირი არ გაუწყვეტია სააკაშვილთან“

მარიამ მჭედლიშვილი

წინასაარჩევნოდ ქვეყანაში შექმნილ სიტუაციაზე „ახალი თაობა“ პარლამენტის წევრს კონსერვატიული პარტიიდან ბიძინა გუჯაბიძეს ესაუბრა.

**ბიძინა გუჯაბიძე;**

ეს ხელისუფლება ცდილობს დემოკრატიის დამკვიდრებას ყველა სფეროში. ამ ხელისუფლების მიერ ჩატარებული ყველა არჩევნები დემოკრატიული იყო. ასეთი მოლოდინია მომავალი საპარლამენტო არჩევნებისთვისაც. უნდა გაგრძელდეს არჩევნების დემოკრატიულად ჩატარების ტრადიცია. კორცხელის მსგავსი ამბებიც უნდა გამოირიცხოს.

***– ზოგი თვლის, რომ 2012 წლის შემდეგ საარჩევნო გარემოში არაფერი შეცვლილა.***

– მაშინდელი არჩევნები ანტიდემოკრატიულმა ნაციონალურმა მოძრაობამ ჩაატარა. მას ჰქონდა გაყალბებისა და ძალადობის სერიოზული მცდელობა. საბედნიეროდ, საერთაშორისო დამკვირვებლებისა და ქართველი ხალხის მცდელობით, იმ მასშტაბის გაყალბება ვერ მოხდა, რაც ჩაფიქრებული იყო. გადამწყვეტი გამოდგა ამომრჩევლის აქტიურობა და „ქართული ოცნების“ მიმართ მისი მხარდაჭერა.

ყველას კარგად გვახსოვს, რომ იმ დროს იყო ბიულეტენის გატაცებები და სხვა ძალადობრივი მოქმედებები. ახლა რეალობაც სხვაა. 2012 წელს ჩვენი საერთო მიზანი იყო სააკაშვილის რეჟიმის გაშვება. ახლა ეს საერთო ამოცანა არ დგას. დარწმუნებული ვარ, რომ „ქართული ოცნება“ ამ არჩევნებში დიდი უპირატესობით გაიმარჯვებს.



***– ამას ბიძინა ივანიშვილიც ამბობს. მისი გათვლით, მომავალ პარლამენტში „ოცნება“ 90 ან 95 დეპუტატს გაიყვანს. საზოგადოებაში კი ასეთი განწყობა არ შეინიშნება***

– 2012 წელთან შედარებით, შეიძლება „ქართულ ოცნებას“ რეიტინგი შეუმცირდა, მაგრამ უპირატესობა მაინც ამ ძალას აქვს. გარდა ამისა, არჩევნებამდე არის დრო. ამ პერიოდში არაერთი ადამიანი დარწმუნდება, რომ ხმა ისევ „ქართულ ოცნებას“ უნდა მისცეს.

***– ბევრი კვლევის თანახმად, ამომრჩევლის დაახლოებით 60% ჩამოუყალიბებელია.***

– „ქართული ოცნება“ და ჩვენც, კონსერვატორებიც, ყველანაირად დავარწმუნებთ მოქალაქეებს, რომ მოვიდნენ არჩევნებზე. ამას მოვახერხებთ კანონის დაცვით, ახსნა-განმარტებებით.

***– ბოლო დროს გამოიკვეთა ორპოლუსიანობის დამყარების სურვილი. მიხეილ სააკაშვილი და ბიძინა ივანიშვილი თავიანთ გამოსვლებში მხოლოდ ერთმანეთს და ერთმანეთის პარტიებს ახსენებენ.***

– ახლა ისეთი ვითარებაა, რომ ორპოლუსიანობა, ორპარტიულობა ვერაფრით ვერ დამყარდება. პარლამენტში მოხვედრის შანსი გაუჩნდა ბევრ ძალას. სააკაშვილი თავისი ტელევიზია რუსთავი 2-ის მეშვეობით ცდილობს დაამტკიცოს, თითქოს ნაციონალური მოძრაობა კონკურენციას უწევს „ქართულ ოცნებას“. სინამდვილეში, ესაა კვეხნა. სააკაშვილის ძალას ამის შანსი არ გააჩნია.

## „ორპოლუსიანობა არ გამოვა“

***– რისი შანსი აქვს ნაციონალურ მოძრაობას?***

– მას პარლამენტში მოხვედრის შანსი აქვს, მაგრამ ის არაა „ქართული ოცნების“ კონკურენტი. ნაცმოძრაობას წლების განმავლობაში ჰყავდა დასაქმებული ადამიანები. ისინი ახლაც ფინანსდებიან. ესაა მათი ამომრჩეველი. ისე, რაც მეტი ადამიანი მიიღებს არჩევნებში მონაწილეობას, მით ნაკლებ პროცენტს მიიღებს ნაციონალური მოძრაობა.

***– იმას როგორ ხსნით, რომ ცოტა ხნის წინ სააკაშვილი პედაგოგების ტრენინგზე დისტანციურად ჩაერთო შეკრებილებს?***

– ეს კანონის დარღვევაა. სახელმწიფო სტრუქტურებს არ აქვთ უფლება, რესურსები გამოიყენონ პოლიტიკური მიზნებისათვის. ეს ფაქტი გამოსაძიებელია. სააკაშვილს უკანონო აქტივობები და აფერისტობა ყოველთვის ახასიათებდა. ასეთი რამ გიორგი ვაშაძემაც ჩაიდინა. მან თავისი ღონისძიებისათვის თბილისში წალკის სკოლებიდან ჩამოიყვანა ხალხი.

***– საკუთარი პარტიის პრეზენტაციაზე?***

– დანამდვილებით ვიცი, რომ მან ეს გააკეთა. შეიძლება ეს პრეზენტაციაზე მოხდა. ვაშაძის მოქმედება ზუსტად იმეორებს სააკაშვილის ხელწერას.



***– როგორ გგონიათ, მას აქვს კავშირი სააკაშვილთან?***

– დიდი ეჭვი მაქვს, რომ ახალი პარტიის შემქმნელ და ნაციონალებიდან გამოსულ ვაშაძეს არ გაუწყვეტია კავშირი სააკაშვილთან. მგონია, რომ ისიც და სხვა პოლიტიკოსებიც, რომლებმაც დატოვეს ნაცმოძრაობა, მიბმული არიან სააკაშვილთან.

***– ეს ყველაფერი იმას მიანიშნებს, რომ ნაცმოძრაობას დიდი გეგმები აქვს.***

– ნაცმოძრაობას პროვოკაციები აქვს ჩაფიქრებული. ისინი არჩევნებს უკავშირდება. მოსალოდნელია, რომ მათ დიდი ხმაური ატეხონ იმის გამო, რომ სასურველ შედეგებს ვერ მიაღწიეს. დარწმუნებული ვარ, რომ ეს მხოლოდ მცდელობები იქნება და სახელმწიფო მანქანა ეფექტურად იმუშავებს. ეს თავიდან აგვაცილებს გაუთვალისწინებელ მოვლენებს.

# ბესო დანელია: „ხმალაძეს ცხვირწინ დავუხიეთ კანონპროექტი“





„ბერძენიშვილმა გვითხრა, გარეთ გამოდითო, გავედით, ის კი თამარ კორძაიას ამოეფარა“



„მმართველი ძალა ყაჩაღობაზე გადავიდა“

ქვეყანაში ახალი პოლიტიკური სკანდალი მწიფდება. ლეიბორისტების, პატრიოტთა ალიანსის და დემოკრატიული მოძრაობის კუთვნილ უფასო სარეკლამო საეთერო დროს კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ შემავალ პარტიებს უნაწილებენ. ეს ცვლილებები რესპუბლიკელებმა მოამზადეს. როგორ აპირებს კუთვნილი უფასო სარეკლამო დროის დაცვას ოპოზიცია, რატომ დაიწყეს ჩხუბი რესპუბლიკელებმა? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ დემოკრატიული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ბესო დანელია ესაუბრება.

შორენა მარსაგიშვილი

**ბესო დანელია:**

– ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე ჩვენ ავიღეთ 11%. ამ ხმების შესაბამისად, ჩვენ მივიღეთ უფასო საეთერო-სარეკლამო დრო. ახლა რესპუბლიკელებმა, კერძოდ, ვახტანგ ხმალაძემ, პარლამენტის იურიდიული კომიტეტის სახელით, რომლის თავმჯდომარეც თავად არის, შემოიტანა ცვლილებები.

ამ ცვლილებების თანახმად, ჩვენი, ლეიბორისტების და პატრიოტთა ალიანსის კუთვნილი სარეკლამო დრო გადაეცემა კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ შემავალ პარტიებს. ეს არის დაუშვებელი, რადგან ეს დრო ჩვენ ბოლო არჩევნებში მიღებული ხმების შესაბამისად მივიღეთ.

მართალია, კოალიცია დაიშალა, მაგრამ გარკვეული ძალები ახლაც ცდილობენ, ყველაფერი გააკეთონ იმისთვის, რომ რესპუბლიკურმა პარტიამ როგორმე გადალახოს ის ბარიერი, რომელიც არსებობის მანძილზე არასდროს გადაულახავს.

***– ამის გამო ეჩხუბეთ რესპუბლიკელებს კომიტეტის სხდომაზე?***

– არა მარტო ამის გამო. ცვლილება, რომლის შეტანასაც აპირებენ, არის უკანონო და ქურდბაცაცული. სხვისი დროის მოპარვა არის ჩვეულებრივი ქურდობა. საარჩევნო კამპანია უკვე დაწყებულია და ამ პერიოდში სხვა პარტიისთვის საქმიანობაში ხელის შეშლა არის დანაშაული.

დაპირისპირება მოჰყვა ჩვენს მოსაზრებებს. ვახტანგ ხმალაძეს პირველი მოსმენის შემდეგ შევთავაზეთ ცვლილებები. მეორე მოსმენის წინ გაიმართა მოსმენა, სადაც პროექტი დავუხიეთ.

***– ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით?***

– დიახ. ხმალაძეს ცხვირწინ დავუხიეთ მის მიერ მომზადებული კანონპროექტი. ამას ბერძენიშვილის მხრიდან მოჰყვა პროტესტი. მან წაიძველბიჭა კიდეც და გვითხრა, გარეთ გამოდითო. გარეთ როცა გავედით, თამარ კორძაიას ზურგს ამოეფარა და მერე საერთოდ წავიდა კომიტეტიდან. ეს დაპირისპირება მისი წასვლით დამთავრდა.

საზოგადოება ასეთი დაპირისპირების მომსწრე შესაძლოა კიდევ არაერთხელ გახდეს, რადგანაც ჩვენ არ ვაპირებთ იმ დროის დათმობას, რომელიც ამომრჩეველმა მოგვანიჭა. მივმართავთ ყველა საერთაშორისო ორგანიზაციას, გამოვიყენებთ კანონით დაშვებულ ყველა ნორმას და ამ უკანონობას არ დავუშვებთ.

***– განსაკუთრებულ აქცენტს რესპუბლიკელებზე აკეთებთ და მარტო ისინი გართმევენ ამ დროს თუ მთელი კოალიციაა ჩართული?***

– ცვლილებები რესპუბლიკელებმა მოამზადეს. საკანონმდებლო ინიციატივას 78 დეპუტატმა მოაწერა ხელი. აქ არიან როგორც პარტია „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები, ასევე კოალიციაში შემავალი პარტიების წარმომადგენლები. ალასანია, ფორუმი, კონსერვატორები, მრეწველები, რესპუბლიკელები ყველა ჩვენ წინააღმდეგ გაერთიანდა.

***– არადა ეს პარტიები თითქოს ვერ იტანენ ერთმანეთს.***

– როცა სჭირდებათ, ერთი გუნდი არიან. ახლა ერთად დადგნენ იმიტომ, რომ ჩვენთვის წართმეული დროის მითვისება ყველას უნდა. უხერხულია, რომ მმართველი გუნდი ყაჩაღობაზე გადავიდა. არც ჩვენ, არც პატრიოტთა ალიანსი და არც ლეიბორისტები არაფრის დათმობას არ ვაპირებთ.

***– რა დროს ჩამოგაჭრიან თუ ეს ცვლილებები გავიდა?***

– კუთვნილი 1 წუთიდან მხოლოდ 29 წამს გვიტოვებენ, დანარჩენ 31 წამს კოალიციიდან წამოსული პარტიები გადაინაწილებენ. ეს არის დისკრიმინაცია და ამისთვის ისინი აუცილებლად აგებენ პასუხს.

ჩვენ ვიცოდით, რა დრო გვქონდა გამოყოფილი. ამის მიხედვით ვიღებდით რეკლამებს. და იმ დროს, როცა არჩევნების თარიღი გამოცხადდა, უცებ ასეთი ცვლილებები შეიტანეს. ეს სხვა პარტიისთვის ხელის შეშლაა და ის კანონით ისჯება.

ამ დროის წართმევა ჩვენზე ძალიან ცუდად აისახება. იმ დროს, როცა სხვა პარტიებს რამდენიმემილიონიანი დაფინანსება აქვთ, ჩვენ სულ რაღაც 1 მილიონი გვაქვს. ეს უნდა ეყოს როგორც არჩევნებს, ასევე პარტიის შენახვას. იმის გამო, რომ კოალიცია დაიშალა და რესპუბლიკელების გაყვანა უნდათ, საეთერო დროს ჩვენ ნუ წაგვართმევენ.

საინტერესოა, რატომ ითვლება რესპუბლიკური პარტია ოპოზიციურად, რომლის 3 წევრი მინისტრის სავარძელში ზის, ხოლო მმართველი გუნდი ყველაფერს აკეთებს, რომ ისინი მომავალ პარლამენტში გაიყვანონ. ისიც გაუგებარია, რატომ სარგებლობს ეს ხალხი ადმინისტრაციული რესურსით. ასეთი რესურსი ოპოზიციისთვის მიუწვდომელია. პირდაპირ ჩანს, რომ გარიგებას აქვს ადგილი და რესპუბლიკელებს საკანონმდებლო ორგანოში მოსახვედრად პლაცდარმს უქმნიან. საქართველოს მოსახლეობა მათ იმდენ ხმას არ მისცემს, რომ პარლამენტში მოხვდნენ. ბიძინა ივანიშვილმა კი თქვა, ბარიერის გადალახვა ნაციონალებს გაუჭირდებათო, მაგრამ ეს პრობლემა რესპუბლიკელების წინაშე ნამდვილად დადგება და დგას კიდევაც.

***– ნაციონალებს არ გაუჭირდებათ ბარიერის გადალახვა?***

– მეეჭვება, რომ ნაციონალებს ეს გაუჭირდეთ. „ქართულმა ოცნებამ“ და ივანიშვილმა ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ ყოფილი ხელისუფლება მეორე პოლიტიკურ ძალად იყოს წარმოდგენილი. არადა ეს ძალა საქართველოს მოსახლეობამ 2012 წელს პოლიტიკურ სანაგვეზე მოისროლა.

***– საეთერო დროის წართმევაზე ვისაუბრეთ და როგორც ყოფილი დეპუტატი ვალერი გელბახიანი ამბობს, თამაზ მეჭიაურის პარტია ხელისუფლებამ იმიტომ შექმნა, რომ მან დემოკრატიულ მოძრაობას წაართვას ხმებიო. ამაზე რას ფიქრობთ?***

– ამ მოსაზრებას ვერ გავიზიარებ და დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენს ხმებს მეჭიაურის პარტია ვერ წაიღებს. ლალი მოროშკინა კი ამბობს, რომ რუსეთთან ურთიერთობებს დაალაგებს, მაგრამ ყველამ იცის, რომ ეს პირველ პირებთან შეხვედრის გარეშე არ გამოვა. რუსეთის პირველ პირებთან შეხვედრა კი მხოლოდ ჩვენს ლიდერს შეუძლია. მოროშკინასაც ჰყავს რუსეთში ნაცნობები, მაგრამ არა მგონია, რომ მათ ჩვენი ხმები წაიღონ. მეჭიაურის პარტიას თავისი ამომრჩეველი ეყოლება.

# „ორპოლუსიანობა ივანიშვილის მიზანი არ არის“

ნონა ცაბაძე

ბოლო პერიოდის პოლიტიკურ პროცესებს და ყოფილი პრემიერის განცხადებებს „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ექსპერტი, ფსიქოლოგი, რამაზ საყვარელიძე აფასებს.

***– ბატონო რამაზ, ბიძინა ივანიშვილის გზავნილებს ოპონენტები უარყოფითად აფასებენ. როგორია თქვენი შეფასებები მის გზავნილებზე?***

– მე უფრო დადებითად შევაფასებდი, მთელი რიგი მიზეზების გამო, თუმცა, რა თქმა უნდა, მაქვს პრეტენზიები.

***– მაინც რას მიიჩნევთ დადებითად?***

– დადებით შეფასებას იმსახურებს სწორედ ის, რაზედაც მას საყვედურობენ, რომ მან აქცენტი გააკეთა ნაციონალურ მოძრაობაზე. მე არ ვეთანხმები იმ ოპონენტებს, რომლებიც თვლიან, რომ ეს არის ისევ ორპოლუსიანობამდე მიყვანა საარჩევნო პროცესის.

***– მაშინ რა არის?***

– ორპოლუსიანობამდე რომ მიეყვანა მას საარჩევნო პროცესი, აქვე გააკეთებდა სხვა პარტიების შეფასებას, თუნდაც როგორც ნაციონალური მოძრაობის ხელშემწყობის, ანუ გაკრეფავდა შუაში მყოფ ყველა სუბიექტს და დატოვებდა მარტო ამ ორს. ასეთი ხერხი მას ამ შემთხვევაში არ გამოუყენებია, მხოლოდ ნაციონალებზე იყო აქცენტი.

***– მაშინ რატომ იყო ეს აქცენტი?***

– აქცენტი იყო იმ მიზეზით, რაზედაც ბევრი ლაპარაკობს განვლილი პერიოდის განმავლობაში, რომ ნაციონალების მიმართ ლოიალობამ ნაციონალები გახადა აქტიური და გაზარდა იმის შანსი, რომ ნაციონალები თუ ხელისუფლებაში არა, სერიოზული პოლიტიკური წონის პარტიად მოგვევლინონ პარლამენტში. პარლამენტში ნაციონალების მთავარ ოპოზიციად ყოფნამ ბევრი პრობლემა შეუქმნა არა მარტო „ქართულ ოცნებას“, არამედ საქართველოს მთლიანად და პოლიტიკური დევნის იარლიყი მხოლოდ იმიტომ მიაკრეს სამართლიანობის აღდგენის პროცესს, რომ ის წამყვანი პოლიტიკური ოპონენტი იყო „ქართული ოცნებისთვის“.

***– ახლა რას ცდილობს ივანიშვილი, საით მიანიშნებს?***

– შესაბამისად, მომავალ პარლამენტში თუ მთავარი პოლიტიკური ოპონენტი აღარ იქნება ნაციონალური მოძრაობა და ჩაიწევს უფრო დაბლა, მას უკვე ასეთი არგუმენტის მოშველიება, რომ დევნიან, როგორც მთავარ ოპოზიციურ ძალას, აღარ შეეძლება და დასავლეთის მხრიდან ის ტალღაც აღარ იქნება პოლიტიკური შურისძიების თაობაზე, რასაც ოთხი წელიწადია ვისმენთ. ასე რომ, ნაციონალების კვლავაც მთავარ ოპოზიციად ჩამოყალიბება მომავალ პარლამენტში ნამდვილად არ არის სასურველი. სწორედ ამაზე გააკეთა აქცენტი ივანიშვილმა. სწორედ ამ მხრივ მიმაჩნია ეს გონივრულ პოლიტიკურ აქცენტად.

***– ივანიშვილს ოპონენტები სერიოზულად აკრიტიკებენ იმის გამო, რომ მან დაასახელა კონკრეტული ციფრი, „ოცნება“ ამდენ კაცს შეიყვანს პარლამენტშიო. რა გარანტიები აქვს და წინასწარ რატომ ასახელებს კონკრეტულ ციფრებს?***

– იმავე ოპონენტებს რა გარანტიები აქვთ, როდესაც ისინი ამბობენ,




## რამაზ საყვარელიძე: „ივანიშვილის თვითკრიტიკა მის გუნდს დაეხმარება“



არჩევნებში ჩვენ გავიმარჯვებთ და „ოცნებას“ ოპოზიციაში გადავუშვებთო. ეს პოლიტიკური ბრძოლის შეძახილებია ერთი მხრიდანაც და მეორე მხრიდანაც. გარანტიების ქონა ცოტა ღიმილის მომგვრელია ასეთ დროს. მით უმეტეს იმათგან, რომლებიც თვითონ გარანტიების გარეშე ლაპარაკობენ.

***– თქვენთვის რა იყო უარყოფითი?***

– დადებითში მე მივანიშნებდი კიდევ ერთ მომენტს. რეგიონებში რომ არ არის სახარბიელო სიტუაცია, ამაზე ისაუბრა ივანიშვილმა. ამ ტიპის თვითკრიტიკული მინიშნებები გვაფიქრებინებს, რომ ივანიშვილი ბევრ რამეს ხედავს. თუ შეცდომებზე თვითონ ილაპარაკებს და რასაც ხედავს, სწორედ იმას იტყვის, ეს ერთგვარი კრიტიკა მის გუნდს უფრო დაეხმარება სამომავლოდ.

***– იქნებ ეს წინასაარჩევნო კამპანიის ნაწილია?***

– რა თქმა უნდა, წინასაარჩევნო კამპანიის ნაწილია, გეთანხმებით. თვითონ ივანიშვილის ჩართვაც ასე აქტიურად არჩევნებით არის განპირობებული. ბევრად უკეთესია, შენს მეტოქეს დაასწრო შენს ხარვეზზე სიტყვის თქმა და მოსახლეობას და ამომრჩეველს შენივე ხარვეზი დაანახო იმ ჭრილში, როგორადაც გინდა, რომ შეფასდეს ის, რაც ვერ მოახერხე ამ ხნის განმავლობაში.

***– საუბარია, რომ ის გვერდზე გადგომას არ აპირებს. როგორი იქნება მისი როლი და გავლენა ამ პროცესზე?***

– მე დამრჩა შთაბეჭდილება, რომ ის წინასაარჩევნო საკადრო პოლიტიკაში, ანუ ვინ ჩაეწეროს სიაში და ვინ არ ჩაეწეროს, ვინ დაინიშნოს და ვინ მოიხსნას, არ ერევა. მან მიანდო ეს საქმე გიორგი კვირიკაშვილს.

***– ანუ ყველაფერი გადააბარა ამჟამინდელ პრემიერს?***

– დიახ. ეს ბიზნესმენის ლოგიკაა, რომ რაც შეიძლება მეტად გადააბარო სხვებს, დელეგირება მოახდინო სხვებთან იმისი, რასაც შენგან ითხოვენ. ის არ უზღუდავს უფლებას არავის, პირიქით, უნდა, რომ ადამიანებმა ისწავლონ დამოუკიდებლად მოქმედება თავისივე გუნდშიც და ზოგადად საქართველოშიც. სწორედ ეს პოლიტიკა ჩანს მის ნაბიჯებში.

***– რამდენად დემოკრატიულ პირობებში ჩატარდება ეს წინასაარჩევნო პერიოდი და შემდეგ არჩევნები?***

– ვიტყვით, რომ ხარვეზების გარეშე ჩატარდა, თუკი არ იქნება ძალისმიერი დარღვევები. თუნდაც კორცხელისმაგვარი. ან კიდევ უარესიც. ერთ დროს საარჩევნო ყუთებს იტაცებდნენ. თუ ასეთი რამ არ იქნება, ჩავთვალოთ, რომ არჩევნები ნორმალურად ჩატარდა.

***– რუსთავი 2-ის თემამაც და ამ კუთხით გაკეთებულმა განცხადებებმა დადებითი შეფასება გამოიწვია, თუმცა ნაციონალებმა აქაც მხოლოდ უარყოფითი დაინახეს. რას იტყვით თქვენ?***

– ნაციონალებს აწყობთ, რომ რუსთავი 2, როგორც სახელისუფლო პრობლემა, ისე წარმოჩნდეს. სასამართლომ საკმარისია მიიღოს გადაწყვეტილება უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე, რომ რუსთავი 2-ის ადმინისტრაცია, სასწრაფოდ გამოვა შენობიდან და გარედან დაიწყებს ძახილს – ხელისუფლებამ რუსთავი 2 დახურა. ამ პროცესს ის პირობა, რაც ივანიშვილმა დადო, ვერ უშველის.

***– ჯერი სასამართლოზეა?***

– დიახ, ჯერი სასამართლოზეა და ვნახოთ, სასამართლო რა მიმართულებით წაიყვანს ამ პროცესს.

# ნაციონალური მოძრაობა ივანიშვილს პასუხობს

**ერთიანი ნაციონალური მოძრაობა ყოფილი პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივინიშვილის საპასუხოდ განცხადებას ავრცელებს. განცხადებაში აღნიშნულია, რომ „ქართული ოცნების“ ეკონომიკური პოლიტიკა არა მარტო ქვეყანას, არამედ თითოეულ მოქალაქეს აზარალებს, „ინტერპრესნიუსი“ აღნიშნულ განცხადებას უცვლელად გთავაზობთ.**

– „საქართველოში ყველაფერი კარგადაა, ჩვენ გვყავს ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი მთავრობა მსოფლიოში“, „ნაციონალური მოძრაობის დროს იყო ვალების ეკონომიკა, დღეს ინვესტიციებზე დაფუძნებული ეკონომიკაა“, – დაჟინებით გვიმტკიცებს ბიძინა ივანიშვილი და მისი ხელისუფლება. მათ არ იციან, ან რიცხვებით მანიპულირებენ, როდესაც ვალს ეკონომიკასთან მიმართებაში ბიძინა ივანიშვილის მიერ გამოგონილი სისტემით „ანგარიშობენ“. აი, რატომ:

2003 წელს ვალის შეფარდება მშპ-სთან იყო 43%, 2012 წელს 33%, 2016 წლის აპრილის მონაცემებით კი, სიმბოლური 41%. ანუ, ნაციონალური მოძრაობის პირობებში ვალი მშპ-სთან შემცირდა, ხოლო ქართული ოცნების პირობებში 33%-დან 41 %-მდე გაიზარდა.

„ქართულმა ოცნებამ“ 2012 წლიდან შიდა ვალი 1 მილიარდი დოლარით გაზარდა, რაც 80%-ით მეტია წინა წლების მონაცემებთან შედარებით. საშინაო ვალის ზრდა ძვირი უჯდება სახელმწიფოს, უფრო მეტად კი, მოსახლეობას აზარალებს, რადგანაც შიდა ვალი აუფასურებს ლარს და უარყოფით გავლენას ახდენს კერძო ინვესტიციებზე.

საქართველოს ეკონომიკა 2012 წელს იყო 15.8 მლრდ დოლარ (26.167.3 მლრდ ლარი), 2015 წელს დაგეგმილია მხოლოდ 13,8 მლრდ დოლარი (31.46 მლრდ ლარი), რაც 1.6 მლრდ დოლარით ნაკლებია. 2012 წელს, „ქართული ოცნება“ მის მიერვე შედგენილი ძირითადი მაკროეკონომიკური მონაცემებით გვპირდებოდა, რომ საქართველოს ეკონომიკა 2016 წელს იქნებოდა 40.1 მლრდ ლარი.

რეალურად – 2016 წლის ბიუჯეტის მიხედვით, საქართველოს ეკონომიკა 2016 წელს 34.1 მლრდ იქნება. ეს ნიშნავს, რომ ბიძინა ივანიშვილის და მისი მთავრობის არასწორი ეკონომიკური პოლიტიკის შედეგად, ქვეყანამ 6 მლრდ ლარი დაკარგა.

ბიძინა ივანიშვილი უკანასკნელი 3 წლის მანძილზე ეკონომიკის ზრდის ტემპით ტრაბახობს. არა და, ეკონომიკური ზრდა ბოლო 3 წლის მანძილზე წელიწადში მხოლოდ 3.3%-ია. რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველო უახლოესი 50 წლის მანძილზე ვერც ერთ ევროპულ ქვეყანას ვერ დაეწევა.

2004-2007 წლებში ეკონომიკური ზრდა 9.4% იყო, ხოლო 2004-2012 წლებში საშუალოდ 6.5%, რაც თითქმის ორჯერ მეტია „ქართული ოცნების“ მმართველობის პირობებში არსებულ ეკონომიკურ ზრდაზე.

მშპ ერთ სულზე 2012 წელს იყო 4.130 დოლარი (მოსახლეობა 4.5 მლნ), 2015 წელს კი, 3.719 დოლარი (მოსახლეობა 3.7 მლნ). კლება ნათელია, მაგრამ კიდევ ერთ „ეშმაკობას“ უნდა მივაქციოთ ყურადღება: 2015 წელს საყოველთაო აღწერის შედეგებმა ქვეყნის მოსახლეობა 4.5 მლნ ადამიანიდან 3.7 მლნ-მდე შეამცირა. მშპ 2015 წელს ძველი აღწერით გვექნება 3.102 დოლარი და არა 3.719 დოლარი.

საქართველო ღარიბდება და არსებული ვითარებით სხვა ქვეყნებს არათუ ვეწევით, არამედ კიდევ უფრო ჩამოვრჩებით.

ბიძინა ივანიშვილი გვარწმუნებს, რომ 2030 წელს საქართველო ევროპის ქვეყნებს დაეწევა. ესეც ტყუილია, რადგანაც უკანასკნელი 3 წლის ზრდის ტემპით, (3 %-იანი ინფლაციის პირობებში), 2030 წელს საქართველოში მშპ ერთ სულზე იქნება 9.400 დოლარი. ეს კი თურქმენეთის, სურინამის, გრენადისა და აზერბაიჯანის დღევანდელ მაჩვენებლებზე ნაკლებია. იმისათვის, რომ საქართველო დაეწიოს განვითარებულ ქვეყნებს, მას აუცილებლად ორნიშნა ეკონომიკური ზრდა სჭირდება. ეს კი, ბიძინა ივანიშვილის მმართველობის პირობებში შეუძლებელია.

ბიძინა ივანიშვილი აცხადებს, რომ ინვესტიციები იზრდება. მაშინ, როცა კატასტროფულად მცირდება ნომინალური მაჩვენებლები:




2013 წელს სოფლის მეურნეობაში ინვესტიციები 26%-ით შემცირდა.

2014 წელს ზრდის ტემპმა მხოლოდ და მხოლოდ 3% შეადგინა.

უძრავ ქონებაში ინვესტიციები 2015 წელს 66%-ით შემცირდა.

ცალკე უნდა გამოიყოს მთავრობის დამღუპველი პოლიტიკა ენერგეტიკაში. გარდა იმისა, რომ გაზპრომთან მოლაპარაკებებით ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობას საფრთხე დაემუქრა, ინვესტიციების მოცულობა სისტემაში 2014 წელს 22%-ით, 2015 წელს კი 53%-ით შემცირდა.

მძიმე მდგომარეობაა ვაჭრობაშიც. უკანასკნელი 3 წელია ექსპორტი და იმპორტი მცირდება. რაც საქართველოს მოსახლეობისთვის და ბიზნეს სექტორისთვის საკმაოდ დამაზიანებელია.

ექსპორტი საქართველოში 2016 წ იანვარ-აპრილში უფრო ნაკლები იყო, ვიდრე 2011 წელს. მაგალითად, მსუბუქი ავტომობილების ექსპორტი 2013 წელს 704 მლნ დოლარი შეადგენდა, 2015 წელს კი, 180 მლნ დოლარამდე შემცირდა, შემცირება გრძელდება 2016 წელსაც.

„ქართული ოცნების“ პოლიტიკამ დააზარალა ტურისტული სექტორიც. 2010-2012 წლებში ტურიზმიდან შემოსული წმინდა ფულადი ნაკადები საშუალოდ 58%-ით იზრდებოდა, 2013 წელს ზრდის ტემპი 23%-მდე, 2014 წელს კი, 4%-მდე დაეცა, 2015 წელს ზრდის ტემპი ასევე დაბალი, – მხოლოდ 8% იყო.

ბიძინა ივანიშვილი გვარწმუნებს, რომ საერთაშორისო ინდექსებში, მათ შორის მთავრობის ეფექტიანობის კუთხით, საქართველოს გაუმჯობესება აქვს. სინამდვილეში, ეკონომიკური თავისუფლების ინდექსში 2013 წელს საქართველო 21-ე ადგილზე იყო, 2016 წელს კი, 23-ე ადგილზე გადაინაცვლა.

2013 წელს საქართველო ბიზნესის კეთების სიმარტივის რეიტინგში მე-8 ადგილზე იყო და ეს საერთაშორისო პარტნიორებთან საუბრისას საქართველოს სავიზიტო ბარათი იყო.

2016 წელს საქართველომ 24-ე ადგილზე გადაინაცვლა. გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის მიხედვით, გაუარესება გვაქვს ინვესტორის დაცულობის კუთხითაც. შედეგად, მე-19 ადგილიდან (2013 წლის მონაცემები) 42-ე (2016 წლის მონაცემები) ადგილზე გადავინაცვლეთ.

მიუხედავად იმისა, რომ პენსიის 150 ლარამდე ზრდა 2012 წლის ბიუჯეტის მიხედვით გათვალისწინებული იყო, ბიძინა ივანიშვილი ამბობს, რომ პენსია ქართულმა ოცნებამ გაზარდა.

სინამდვილეში, „ქართული ოცნების“ მავნებლური ეკონომიკური პოლიტიკის შედეგით გამოწვეულმა ინფლაციამ პენსიონერთა მსყიდველობითუნარიანობა შეამცირა. დღეს პენსია მხოლოდ 75 დოლარი შეადგენს, მაშინ, როცა 2013 წელს 90 დოლარი იყო.

ეს არ არის მშრალი ციფრები, ქართული ოცნების ეკონომიკური პოლიტიკა არა მარტო ქვეყანას, არამედ თითოეულ მოქალაქეს აზარალებს, – აღნიშნულია ნაციონალუირი მოძრაობის მირ გავრცელებულ განცხადებაში.

**ინტერპრესნიუსი**

**გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ქ-ნი ქეთევანი**

**მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6**

**☎ 577-29-37-41, 247-58-83**

# პანკისის ხეობაში ორი ახალგაზრდა დააკავეს

პანკისის ხეობაში პოლიციელების მიმართ წინააღმდეგობის გაწევის გამო ორი ახალგაზრდა – რუსლან მაჩალიკაშვილი და ასლან ხანგოშვილი დააკავეს.

როგორც „ინტერპრესნიუსის“ კორესპონდენტი ადგილიდან იუწყება, წინასწარი ინფორმაციით, დაპირისპირება ახალგაზრდებს და პოლიციელებს შორის მაშინ მოხდა, როდესაც სამართალდამცავებმა პანკისელი ახალგაზრდები საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის გამო გააჩერეს.

„ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, რომ მომხდართან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე აღძრულია სსკ-ის 353-ე მუხლის მე-2 ნაწილით, რაც გულისხმობს ჯგუფის მიერ პოლიციის მუშაკის ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლის მიმართ წინააღმდეგობას, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისთვის ხელის შეშლის, მისი საქმიანობის შეწყვეტის ან შეცვლის მიზნით.

დანაშაული ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან შვიდ წლამდე.

**ინტერპრესნიუსი**

# „ქართული ავტოგოლი: კანონი „ოკუპირებული ტერიტორიების“ შესახებ არ მუშაობს“

**ნაბაკევი-ხურჩას საზღვარზე, საქართველოს მოქალაქის, გიგა ოთხოზორიას ცინიკური მკვლელობიდან 10 დღის შემდეგ, ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე, „არაღიარებულ ქვეყნებს“ შორის, ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატი დაიწყო.**

**ამ ეგზოტიკურ ფორუმში, რომელსაც CONIFA ატარებს და FIFA არ აღიარებს, უცხოეთის 20-მდე ქვეყნის 600-მდე მოქალაქე იყო ჩართული.**

**ამ თემაზე ამერიკული რადიოსადგური „Radio Voice of America“ წერს.**





გამოცემის თანახმად, ოკუპირებულ ტერიტორიაზე იმყოფებოდნენ: შვეიცარიისა და გერმანიის (რეცია), რუმინეთისა და უნგრეთის (სეკეის მხარე, ბოშები), ინდოეთისა და პაკისტანის (პენჯაბი), დიდი ბრიტანეთისა და მავრიკის (ჩაგოსის კუნძულები), იტალიის (პადანია), შვედეთის, ნორვეგიისა და ფინეთის (ლაპლანდია), სომალის (სოლალილენდი), ერაყის (ქურთისტანი), სამხრეთ კორეის, იაპონიის, სომხეთის, თურქეთისა (ჩრდილოეთ კვიპროსი) და რუსეთის მოქალაქეები: ფეხბურთელები, მწვრთნელები, ჟურნალისტები და ფანები.

CONIFA-მ, რომლის პრეზიდენტი შვედეთის მოქალაქე, ეთნიკური საამი, პერ ანდერს ბლინდია, ხოლო ვიცე-პრეზიდენტი – აფხაზი დიმიტრი ფალავა, ტურნირისთვის მსაჯები, რუსეთის მიერ ოკუპირებული – უკრაინის, დონეცკის ოლქიდან მოიწვია.

საქართველოს სტრატეგიული და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის ექსპერტი კახა გოგოლაშვილი „ამერიკის ხმასთან“ ამბობს, რომ ოკუპირებულ აფხაზეთში, CONIFA-ს ჩემპიონატის გამართვა პირდაპირ მიუთითებს, რომ საქართველოს კანონი „ოკუპირებული ტერიტორიების“ შესახებ უბრალოდ არ მუშაობს.

„ეს კანონი, მთლიანობაში ეფექტურად იმუშავებდა იმ შემთხვევაში თუ იქნებოდა, მკაცრი საერთაშორისო მონიტორინგი მის აღსრულებაზე. მაგრამ, რადგან ეს მონიტორინგი არ არსებობს, მხოლოდ საქართველოს მხრიდან, ამ კანონის მოქმედება ვერანაირად ვერ იქნება უზრუნველყოფილი. მეორე პრობლემაა, რომ დღეს საქართველოს სახელმწიფოში არ არის იმდენად ძლიერი ნება, რომ ხისტი პოზიციით მიუდგნენ ამ საკითხს, მაგალითად, ისე, როგორ სიხისტესაც იჩენს, ჩვენი მეზობელი აზერბაიჯანი – ყარაბაღის საკითხში. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ თითქოს ეს კანონი მიღებულია უფრო გარეგანი ფორმის დასაცავად, ვიდრე რეალური ეფექტის მისაღებად“.

საქართველოს პარლამენტმა კანონი „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ 2008 წლის ოქტომბრის ბოლოს, რუსეთის სამხედრო აგრესიის ფონზე მიიღო. კანონის მიხედვით, ოკუპირებულ აფხაზეთში, უცხო ქვეყნის მოქალაქეს შესვლა მხოლოდ ზუგდიდის მხრიდან შეუძლია. თუ პირი ოკუპაციის ზონაში სხვა ადგილიდან მოხვდა, მაშინ მას ადმინისტრაციული ჯარიმა ან სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა ელოდება ვადით – 2-დან 4 წლამდე. დანაშაულის განმეორების შემთხვევაში კი უკვე 3-დან 5 წლამდე პატიმრობა.

ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, 2009-2015 წლებში, „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ კანონის დარღვევისთვის, როგორც აფხაზეთის, ისე ცხინვალის რეგიონის მიმართულებით, ჯამში, 350 უცხოეთის მოქალაქე იქნა დაკავებული. ყველაზე მეტი – 88 დამრღვევი – 2009 წელს იქნა გამოვლენილი; ყველაზე ცოტა – 17 კი 2015 წელს. აქედან მხოლოდ მცირე ნაწილი მოხვდა საპატიმროში, უმრავლესობას კი 400 ლარიანი ჯარიმა შეეფარდა.

2016 წლის იანვარ-აპრილის მონაცემებით, ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლის წესის დარღვევის მხოლოდ 4 შემთხვევაა გამოვლენილი. ეს მაშინ, როცა 2015 წელს ოკუპირებული აფხაზეთი 500 ათასიდან მილიონამდე ტურისტმა მოინახულა, წელს კი ამ მაჩვენებლის კიდევ 30 პროცენტით გაზრდას ელოდებიან.

ექსპერტი კახა გოგოლაშვილი ამბობს, რომ ამ სტატისტიკის შემცირების ტენდენცია ოკუპაციის კანონის შერბილების კამპანიამ და უამრავი გამონაკლისის დაშვებამ განაპირობა, როცა კანონის დამრღვევები, საქართველოს სხვა ტერიტორიებზე უპრობლემოდ შეუშვეს. კახა გოგოლაშვილი ამ მდგომარეობას უაღრესად სახიფათოს უწოდებს:

„ასეთი გამონაკლისებით დაიწყო ყველაფერი, როცა იგივე რუსი ექსპერტები, პოლიტიკოსები, ევროპელი ექსპერტები, პოლიტიკოსები, სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები და ა.შ, რომლებიც შედიოდნენ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში ჩვენი კანონმდებლობის დარღვევით და მათ მიმართ, გამონაკლისი მაინც გაკეთდა. ამან ყველაფერმა, თავისთავად გამოიწვია კანონის „ეროზია“, ძალიან ბევრი გამონაკლისი როცა კეთდება, ეს კანონს უბრალოდ აკნინებს. ამასთან, აშკარაა, რომ ჩვენი მთავრობა ბოლო წლებია ამ მიმართულებით იჩენს გარკვეულ სირბილეს, რაც თავისთავად სახიფათოა, რადგან საბოლოო ჯამში, ჩვენი ტიტულები აფხაზეთის ფლობისა ფერმკრთალდება, იმის გამო, რომ საერთაშორისო თანამეგობრობის თვალში, იქ ეფექტურ მმართველობას ახორციელებს ოკუპანტი ძალები, ტარდება დიდი ტურნირები, შედიან და გამოდიან ტურისტები, მიდის ვაჭრობა..

საერთაშორისო სამართლით კი, საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში, რომელი ხელისუფლებაც ახორციელებს მოცემულ ტერიტორიაზე ეფექტურ მმართველობას, მიუხედავად ოკუპაციისა, მიტაცებისა, საბოლოო ჯამში, სწორედ მას უკანონდება ეს ტერიტორია. ამიტომ, ეს ძალიან სახიფათო მდგომარეობაა“.

საქართველოს ხელისუფლებას კიდევ ერთი, სამწუხარო გამონაკლისის დაშვება ივლისის დასაწყისში, თბილისში, ეუთოს საპარლამენტო ასამბლეაზე მოუწევს, რომელსაც რუსეთის დელეგაციაც უნდა დაესწროს. იმ ქვეყნის დელეგაცია, რომელიც დღემდე კატეგორიულად მოითხოვს, „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონის გაუქმებას.

ეუთოში რუსული დელეგაციის წევრების უმრავლესობას არაერთხელ აქვთ დარღვეული ოკუპაციის კანონი და ყველა წესით, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროთ. ამის მიუხედავად, საქართველოს ხელისუფლებამ უკვე დაარწმუნა როგორც ეუთოს საპარლამენტო ასამბლეა, ისე მოსკოვი, რომ რუს დეპუტატებს თბილისში პრობლემებს არ შეუქმნიან.

„ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონის დარღვევის სტატისტიკა 2009-2015 წლებში: 2009 წელს – 88 დარღვევა, 2010 – 83, 2011 – 55, 2012 – 26, 2013 – 45, 2014 – 36, 2015 – 17, 2016 – 4 დარღვევა (იანვარ-აპრილის მდგომარეობით).

**ნიუსპრესი**

# დონალდ ტუსკი: „მწამს, საქართველოს მოქალაქეებს უვიზო რეჟიმის პირობები მალე მიენიჭებათ“

საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი ევროპული საბჭოს პრეზიდენტ დონალდ ტუსკის შეხვდა.

მხარეებმა შეხვედრის შემდეგ ერთობლივი განცხადებები გააკეთეს.

– ჩვენ ყველანი ვფიქრობთ, რომ ჩვენს გზაზე, ჩვენს ორმხრივ ურთიერთობებში საკმაო წარმატებაა მიღწეული. ძალიან მძლავრი და ძლიერი განწყობა და სვლაა საქართველოსი ევროპული დემოკრატიის გაძლიერების და სამართლებრივი სახელმწიფოს განვითარების გზაზე. ნამდვილად სასიამოვნოა, რომ ასოცირების ხელშეკრულება კარგად მიმდინარეობს და ჩვენ შესაბამისად უნდა მივიღოთ მაქსიმალური სარგებელი აქედან.

ჩვენ ვისაუბრეთ საპარლამენტო არჩევნებზე. ამასთან აღვნიშნავთ, რომ პარლამენტის დეპუტატების, პოლიტიკოსების და ოპოზიციის წარმომადგენლების მიმართ ძალადობა ნამდვილად არასასიამოვნოა და მოხარული ვარ, რომ მიღებულია შესაბამისი გადაწყვეტილებები. გმადლობთ ბატონო პრეზიდენტო იმისათვის,



რომ ძალზედ მკაფიოდ და ნათლად წარმოაჩინეთ თქვენი პოზიცია და მოვლენები შესაბამისად შეაფასეთ. ის, რაც მე თქვენგან მოვისმინე, ნამდვილად ბევრის მთქმელია. ეს მონაცემები ძალიან მნიშვნელოვანი გამოცდაა, რომ შევამოწმოთ საქართველოს დემოკრატიის მოქნილობა და სიძლიერე. მოველით, ხელისუფლება არ დაიშურებს ძალებს, რომ ძალზე მშვიდი გარემო იყოს. თავისუფალი მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ამის კარგი წინაპირობაა“, – განაცხადა ტუსკიმ.

გარდა ამისა, პრესკონფერენციაზე დონალდ ტუსკიმ აღნიშნა, რომ ევროკავშირი საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას მხარს უჭერს.

– საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას, რასაკვირველია, მხარდაჭერა აქვს ევროპის კავშირისაგან და ჩვენ ამას მივიჩნევთ არსებული ოფიციალური საზღვრების ფარგლებში. საგანგებო წარმომადგენელი ევროკავშირისა და ჩვენი დელეგაციის მეთაური სწორედ ამ კურსით იმოქმედებენ. გასულ დეკემბერს კომისიამ დაადასტურა, რომ საქართველომ შეასრულა ყველა საჭირო მოთხოვნა. მწამს, რომ ეს სულ მალე განხორციელდება და კომისია საქართველოს მოქალაქეებს მიანიჭებს უვიზო რეჟიმის პირობებს. – განაცხადა ტუსკიმ.

**ნიუსპრესი**

# „სააკაშვილის ადგილი ნამდვილად კარავშია“

საქართველოს ნაპრეზიდანტალმა სააკაშვილმა უკრაინაც მოხიბლა თავისი იდეებით. ჩვენ უკვე ვწერდით, რომ ოდესის გუბერნატორმა კარავში გადაინაცვლა და პირველი თათბირიც ჩაატარა.

– საქართველოში საღამოს რომ ვიტყოდი, დილის 6 საათზე მშენებლობა იწყებოდა, – ასეთი განცხადებით მიმართა ოდესის გუბერნატორმა საზოგადოებას.

სააკაშვილის ამგვარი ქმედება არ გაჰკვირვებიათ მის ოპონენტებს.

– ალბათ სააკშვილს იმედი აქვს, რომ კარავში დაყუდებით ახლა უკვე უკრაინაში შეიქმნის თავისთვის სასურველ მონათმფლობელურ გარემოს. მისი ადგილი ნამდვილად კარავშია და სახლში შესაშვები არ არის, რადგან მისი აზროვნება ვერასდროს გასცდა შუასაუკუნეობრივ წარმოდგენებს სახელმწიფოს მართვასა და ადამიანის როლზე სახელმწიფოში, – ასეთია საქართველოში პოლიტიკოსთა ნაწილის აზრი.



სააკაშვილის თითის ქნევით უკრაინელი მოსახლეობაც დაიბნა.

– ქვეყანაში წესრიგი უნდა დამყარდეს. აქ სრული არეულობაა სამართავ მექანიზმში. პატარა საქართველოს პრეზიდენტი ვიყავი. ვინმე მეტყოდა, რომ გზისთვის 40 მილიონ ევროს ვერ ვიშოვიდით? – იმუქრება ოდესის გუბერნატორი.

სააკაშვილი არ იტყუება. მას ნამდვილად არ უჭირდა ქართული ბიზნესის დარეკეტება და მილიონების შოვნა. არ იტყუება, როდესაც ამბობს, რომ მისი ბრძანების გაცემისთანავე იწყებოდა გზების მშენებლობა, რადგან მისი სიტყვა არც განხილვას ექვემდებარებოდა, არც სატენდერო პირობების დაკმაყოფილებას და არც რაიმე სხვა კანონიერ ჩარჩოს, მისი სიტყვა სახელმწიფოზე მაღლა იდგა, რადგან ის იყო კლასიკური ავტოკრატი, რომელიც ილტვოდა დიქტატურისკენ.

მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სააკაშვილს საკუთარი პიარისთვის ნებისმიერი ნაბიჯის გადადგმა შეეძლო და არც უკრაინაში იხევს უკან.

ოდესის გუბერნატორის თქმით, ის კარავში იქამდე იმუშავებს, სანამ ოდესა-რენის ავტომაგისტრალის მშენებლობა არ დასრულდება.

# შსს-ს ინფორმაციით, პოლიციის უფროსი ბრალდებულის დაკავებისას დაჭრეს

შსს-ს ინფორმაციით, პოლიციის უფროსი ბრალდებულის დაკავებისას დაჭრეს. შინაგან საქმეთა სამინისტროში წყალტუბოს პოლიციის უფროსის დაჭრას ადასტურებენ. როგორც „ინტერპრესნიუსს“ შსს-დან აცნობეს, რევაზ ქობულია ერთ-ერთ დანაშაულში სავარაუდო ბრალდებულის დაკავებისას დაჭრეს.



როგორც უწყებაში განმარტავენ, პოლიციის უფროსის დაჭრას წინ უძღოდა წყალტუბოს რაიონში კიდევ ერთი დაჭრის ფაქტი. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, სამართალდამცველებმა სავარაუდო ბრალდებულის ვინაობა დაადგინეს და როდესაც თემურ გ.-ს დასაკავებლად მივიდნენ, სავარაუდო ბრალდებულმა მიმალვა სცადა.

ტერიტორიაზე სამართალდამცველების შესვლის შემდეგ, თემურ გ-მ პოლიციას ცეცხლი გაუხსნა, რის შედეგადაც დაჭრილია წყალტუბოს პოლიციის უფროსი რევაზ ქობულია. ორმხრივი სროლის შედეგად ასევე დაჭრილია თემურ გ-ც.

**ინტერპრესნიუსი**

# ვარკეთილში „ავერსის“ აფთიაქი დააყაჩაღეს

თბილისში, კერძოდ, ვარკეთილში, კალოუბნის ქუჩაზე, „ავერსის“ აფთიაქი დააყაჩაღეს. შემთხვევა გვიან ღამით მოხდა. აფთიაქის თანამშრომლებმა ადგილზე საპატრულო პოლიცია გამოიძახეს. დეტალები ამ დროისათვის უცნობია.




როგორც „ნიუპოსტს“ შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურში განუცხადეს, საქმეზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლით დაიწყო, რაც ყაჩაღობას გულისხმობს.

**ნიუპოსტი**

# მეანაბრე „ტერაბანკს“ მისი კუთვნილი 2 მილიონამდე ლარის მითვისებაში ადანაშაულებს

მეანაბრე ქალბატონი, რომელსაც „ტერაბანკში“ (ყოფილი „კორ სტანდარტ ბანკი“) დეპოზიტზე 759 800 დოლარი ჰქონდა, ბანკს მისი კუთვნილი თანხის მითვისებას ედავება.

როგორც მეანაბრის ინტერესების დამცველებმა, იურიდიულმა ფირმა „ბი-ელ-ბის“ იურისტებმა განაცხადეს, ბანკმა ქალბატონის კუთვნილი თანხა თაღლითური სქემის მეშვეობით მიითვისა.

იურისტების ინფორმაციით, აღნიშნულთან დაკავშირებით საჩივარი უკვე შეტანილია საქართველოს მთავარ პროკურატურაში და გამოძიებაც დაწყებულია.

მათივე განმარტებით, მეანაბრემ „ტერაბანკში“, მაღალი სარგებლის მიღების მიზნით, საკუთარ ანგარიშზე 800 ათასი დოლარი განათავსა და თანხის დეპოზიტზე განთავსებიდან ერთი წლის განმავლობაში, „ტერაბანკი“ მას მართლაც უხდიდა შეთანხმებულ სარგებელს. 2014 წლის აპრილში კი მეანაბრემ, თანხის მოცულობა 759 800 დოლარამდე შეამცირა. იურისტების ინფორმაციით, სწორედ აქედან დაიწყო თაღლითური სქემის განხორციელება, რომლითაც მეანაბრის კუთვნილი თანხის მითვისება მოხდა.

– ანგარიშთან დაკავშირებული დოკუმენტების შესწავლისას გაირკვა, რომ „ტერაბანკმა“ 2014 წლის 4 აპრილს სრულად განკარგა მეანაბრის კუთვნილი 759.800 დოლარი და იმისდა მიუხედავად, რომ ამ დღიდან მეანაბრის ანგარიშზე განთავსებული იყო ნული აშშ დოლარი, კვალის დაფარვისა და მეანაბრის შეცდომაში შეყვანის მიზნით, მის საბარათე ანგარიშზე, მომდევნო 22 თვის განმავლობაში, ყოველი თვის დათქმულ რიცხვში, გრძელდებოდა სარგებლის ზუსტი ოდენობის შესატყვისი თანხის შეტანა, რაც მეანაბრეს აფიქრებინებდა, რომ მისი დეპოზიტი უსაფრთხოდ იყო განთავსებული „ტერაბანკში“ და იგი დაუბრკოლებლად იღებდა შეთანხმებულ სარგებელს დეპოზიტიდან, – აცხადებენ იურისტები.

მათივე თქმით, აღნიშნული ქმედების შედეგად, მეანაბრემ მხოლოდ ორი წლის შემდეგ შეიტყო, რომ „ტერაბანკში“ დეპოზიტზე განთავსებული მისი თანხა განულებული იყო.

– იმისათვის, რომ გარკვეულიყო, სად წავიდა თანხები, ბანკმა წარმოგვიდგინა გარკვეული სახის დოკუმენტაცია, ხელშეკრულებები, ხელწერილები და გვითხრა, რომ თურმე 2014 წლის 4 აპრილს მეანაბრემ სრულად განკარგა ეს თანხა. როდესაც ჩვენს მარწმუნებელს შეხება ჰქონდა ამ დოკუმენტაციასთან, მან განაცხადა, რომ მისი ხელმოწერები იყო გაყალბებული. დაინიშნა სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ ექსპერტიზა, რომელიც ჩატარდა ორჯერ და ორივე ჯერზე დასკვნა იყო ერთმნიშვნელოვანი, რომ ქალბატონის ხელმოწერა იყო გაყალბებული. ამ გაყალბებული დოკუმენტაციის თანახმად კი, მეანაბრე მისთვის 4 უცნობ პირს უდგებოდა თავდებში და შესაბამისად, როდესაც ამ ოთხმა პირმა ვერ შეასრულა ბანკის მიმართ აღებული ვალდებულება, თანხა ბანკმა მეანაბრის ანგარიშიდან აიღო, – განაცხადა „ბი-ელ-ბი“-ს წარმომადგენელმა მარიამ ვაშაკიძემ.

იურისტების განმარტებით, მათ ბანკთან მოლაპარაკება სცადეს, თუმცა უშედეგოდ, რადგან „ტერაბანკმა“ მეანაბრისთვის მისი კუთვნილი თანხის დაბრუნებაზე უარი განაცხადა.

– მე ვაწარმოებდი ბანკთან მოლაპარაკებას. ამ ბანკის მესაკუთრეები არიან არაბეთის გაერთიანებული საემიროების შეიხები და როდესაც მენეჯმენტთან გვქონდა საუბარი, დაგვარწმუნეს, რომ მეანაბრის პირობები ატანილი იქნა აქციონერებამდე და უარი, რომ ბანკი ამ თანხას არ გადაიხდის და აიძულებს მეანაბრეს, იაროს ძალიან შორი გზით, მოდის ბანკის აქციონერებისგან.

მეანაბრე ითხოვდა არა ზედმეტ თანხას, არამედ ნაკლებსაც კი და ამბობდა, რომ დატოვებდა აღნიშნულ თანხას ბანკში რამდენიმე წლით, თუმცა ამ პირობაზე მას ბანკმა უარი უთხრა. თუ ასეთი მსხვილი ინვესტორები, ჩვენი ქვეყნის საკანონმდებლო სისტემას ასე უყურებენ, რომ ამ შემთხვევაში მეანაბრე ვერ დაიცავს საკუთარ უფლებას, ეს ძალიან საწყენია. დარწმუნებული ვართ, დამნაშავეები დაისჯებიან და ეს ადამიანი ბოლო თეთრამდე მიიღებს თავის თანხას, უბრალოდ ბანკის ამგვარი დამოკიდებულება, ვფიქრობ, საქართველოს საბანკო სისტემისადმი ნდობას არყევს და აზიანებს. მე როგორც ვიცი, ამ ოთხი ადამიანიდან, ვისი სესხის დასაფარადაც იქნა გამოყენებული მეანაბრის კუთვნილი თანხა, ერთ-ერთი ბანკის თანამშრომლის ცოლის და იყო, მეორეს მე თავად ვიცნობ და ვიცი, რომ მას ამ ბანკში არ აქვს სესხი და თან ასეთი მოცულობის. ეს სესხებიც კი ფიქტიური იყო, – განაცხადა კახა შარაბიძემ.

იურიდიული ფირმის წარმომადგენლები ვარაუდობენ, რომ აღნიშნულ თაღლითურ სქემაში ბანკის რამდენიმე თანამშრომელი მონაწილეობდა.

– ამ თაღლითურ სქემაში ჩართული იყო მთელი საბანკო სისტემა. დაუსაბუთებლად გაიცა კრედიტები, გატანილია ის ფული და შემდეგ




უკვე ყალბი დოკუმენტების საფუძველზე ხდება, იძულების წესით ამ თანხის ამოღება და ბანკის მიერ მითვისება. აქ სარგებელს ხედავს არა კონკრეტული პირები, არამედ ბანკი, ვინაიდან ბანკის მიმართ ვერ შეასრულეს ამ ადამიანებმა ვალდებულება. საქმის ინტერესი ჩვენი აზრით არის იმაში, რომ ჩვენ ვაყენებთ ბანკის, როგორც იურიდიული პირის პასუხისმგებლობის საკითხს. ჩვენი მიზანი არაა კონკრეტული პასუხისმგებელი პირების დასჯა, თუმცა, ბუნებრივია, ისინი უნდა დაისაჯონ, – განაცხადა ადვოკატმა კახა წერეთელმა.

მისივე ინფორმაციით საჩივარი, რომელიც მთავარ პროკურატურაშია შეტანილი, მოიცავს დოკუმენტების გაყალბებას, ყალბი დოკუმენტების გამოყენებას, ფულის გათეთრებას, იგივე უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციას და თაღლითობას, რომელთაგან ორი მუხლი – ფულის გათეთრება და ყალბი დოკუმენტის შექმნა-გამოყენება, იურიდიული პირის პასუხისმგებლობას ითვალისწინებს.

# ე.წ. ფარული ჩანაწერების საქმეზე დაკავებული ზურაბ ჯამალაშვილი ევროსასამართლოს მიმართავს




ე.წ. ფარული ჩანაწერების საქმეზე დაკავებული კუდის ყოფილი მაღალჩინოსნის, ზურაბ ჯამალაშვილის ადვოკატი ევროსასამართლოში სარჩელს აგზავნის.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ჯამალაშვილის ადვოკატმა, გიორგი ფოფხაძემ განუცხადა, სარჩელი, რომლითაც ბრალდებული და მისი ინტერესების დამცველი სამართლიან სასამართლოს ითხოვენ, უკვე მომზადებულია და ევროსასამართლოში მომავალ კვირას გაიგზავნება.

ფოფხაძის ინფორმაციით, სარჩელში დეტალურადაა აღწერილი ის, რომ „ზურაბ ჯამალაშვილი უკანონო პატიმარია, ვინაიდან მას აღკვეთის ღონისძიება 72 საათიანი ვადის დარღვევით შეეფარდა“.

– პირველ რიგში, დარღვეულია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-5 და მე-6 მუხლები. ჩვენ ვითხოვთ სამართლიანი სასამართლოს უფლებას. ასევე გამოძიების პერიოდში გამოვლენილია რამდენიმე დარღვევა, მათ შორის საპროცესო კანონმდებლობების უხეში დარღვევები. ბუნებრივია, მავანი იტყვის, რომ არ არის დამთავრებული შიდა პროცედურები, მაგრამ აღკვეთის ღონისძიებასთან დაკავშირებით ეს შიდა პროცედურები უკვე სრულად ამოწურულია და დარღვევა სახეზეა, მისი გასაჩივრება აღარ შეიძლება. ასევე ჩვენი საჩივარი ეხება ზურაბ ჯამალაშვილის უკანონო პატიმრობას.

გვინდა, რომ ევროსასამართლომ მისცეს ამას თავისი შეფასება. გვჯერა და გვწამს, რომ სასამართლო ამას სულ რამდენიმე ხანში განიხილავს და თავის სიტყვას იტყვის, – განუცხადა გიორგი ფოფხაძემ „ინტერპრესნიუსს“.

ზურაბ ჯამალაშვილის ადვოკატის ინფორმაციით, მისი დაცვის ქვეშ მყოფს, თბილისის საქალაქო სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა ძალაში გუშინაც დაუტოვა და ის, სააპელაციო სასამართლოში აღკვეთის ღონისძიების რიგით მე-8 განჩინებას გაასაჩივრებს.

# პაატა ბურჭულაძის პარტიის ოფისი გაქურდეს




პარტია „პაატა ბურჭულაძე – სახელმწიფო ხალხისთვის“ ოფისში გუშინ, 8 ივნისს, პატრული გამოიძახეს. პარტიის პრესსამსახურის ინფორმაციით, საქმე ეხება დაკარგულ სამუშაო კომპიუტერს, რომელიც პარტიის ხელმძღვანელის მდივანს ეკუთვნოდა.

პარტიის მდივანმა გვანცა იობიძემ სამართალდამცველებს განუცხადა, რომ სამუშაო კომპიუტერი გუშინ საღამოს პარტიის ოფისში დატოვა, თუმცა დილით აღარ დახვდა.

პარტია „სახელმწიფო ხალხისთვის“ მიმართავს შინაგან საქმეთა სამინისტროს და მოითხოვს უსწრაფესად გამოიძიონ ქურდობის ფაქტი და გამოვლინდეს დამნაშავე.

– წინააღმდეგ შემთხვევაში, აღნიშნული ფაქტი აღქმული იქნება, როგორც გარე ძალების მოქმედება პარტიის წინააღმდეგ, რაც სამომავლოდ აჩენს შანს, რომ დაცული პირადი ინფორმაცია ბოროტად იქნება გამოყენებული პარტიის წინააღმდეგ, – ნათქვამია პარტიის ინფორმაციაში.

# დიდი ოდენობით თამბაქოს ნაწარმის შემოტანის ფაქტზე ერთი პირი დააკავეს

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა, შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტთან ერთად, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, საბაჟო კონტროლისაგან მალულად, საქართველოს ტერიტორიაზე განსაკუთრებით დიდი ოდენობით თამბაქოს ნაწარმის შემოტანის ფაქტზე მიხეილ ლეჟავა დააკავა, ხოლო ირაკლი ნაფეტვარიძე სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცა, – ამის შესახებ ინფორმაციას საგამოძიებო სამსახური ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, ბრალდებულებმა, რომლებსაც საქართველოს ტერიტორიიდან თამბაქოს ნაწარმის რე-ექსპორტი უნდა მოეხდინათ, საბაჟო პროცედურები ფოთის „გეზში“ გაიარეს, დაილუქა ავტომანქანა, რომელსაც უნდა გადაეკვეთა საქართველო – რუსეთის საზღვარი. ბრალდებულებმა, თამბაქოს ნაწარმის საქართველოში უკანონოდ, კონტრაბანდული გზით დატოვების მიზნით, ავტომანქანა მიიყვანეს წინასწარ განზრახულ ადგილზე, ლუქის დაუზიანებლად გახსნეს ავტომანქანა და ტვირთი დატოვეს საქართველოში, ხოლო საბაჟო გამშვები-პუნქტი „ყაზბეგის“ გავლით რუსეთის ფედერაციაში გადასვლას კი დალუქული, ცარიელი ავტომანქანით გეგმავდნენ.



საქმეზე საგამოძიებო მოქმედებები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 214-ე მუხლის მე– 5 ნაწილით მიმდინარეობს, რაც სასჯელის სახედ 8-დან 11 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

# შსს–მ ქუთაისში მომხდარი განზრახ მკვლელობის ფაქტი გახსნა



შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1987 წელს დაბადებული დურმიშხან ლ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

შს სამინისტროს ინფორმაციით, გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა მიმდინარე წლის 6 ივნისს ქუთაისში, ლესელიძის ქუჩაზე, ურთიერთშელაპარაკებისას, 1966 წელს დაბადებულ მაიზერ ბ.-ს ცივი იარაღით სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დაჭრილი მამაკაცი საავადმყოფოში მიყვანის შემდეგ გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა ბრალდებული მომხდარიდან რამდენიმე საათში, სარფის გამშვებ პუნქტში იმ დროს დააკავეს, როდესაც ქვეყნის დატოვებას ცდილობდა.

გამოძიება განზრახ მკვლელობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 108-ე მუხლით).

# შსს–მ აჭარაში ცეცხლსასროლი იარაღი და ნარკოტიკი ამოიღო



შსს-ს აჭარის ა/რ-ის პოლიციის დეპარტამენტის ბათუმის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებმა 1991 წელს დაბადებული, ირანის ისლამური რესპუბლიკის მოქალაქე საჯად დ. ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე, ხოლო 1956 წელს დაბადებულ ასლან კ. ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტზე სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შსს-დან აცნობეს, სამართალდამცველებმა, საჯად დ.-ს ნაქირავები ბინის ჩხრეკისას, 24 გრ გამომშრალი მარიხუანა, პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი, LLAMA-ს მოდელის პისტოლეტი და 10 საბრძოლო ვაზნა ამოიღეს. ორივე დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

უწყების ინფორმაციით, გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვისა და ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ელი და მე-2 ნაწილებით, სსკ-ს 260-ე მუხლის 1-ელი ნაწილით).

# ვაკეში „საქართველოს ბანკი“ დააყაჩაღეს




ვაკეში „საქართველოს ბანკი“ დააყაჩაღეს. როგორც „ინტერპრესნიუსს“ „საქართველოს ბანკის“ პრესსამსახურში განუცხადეს, მომხდარის შედეგად არავინ დაშავებულა.

მათივე ინფორმაციით, მძარცველებმა ასევე ვერ შეძლეს თანხის წაღება.

ადგილზე მობილიზებული იყო საპატრულო პოლიცია. მიმდინარეობს გამოძიება.

**ინტერპრესნიუსის ინფორმაციები**

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

# ნადეჟდა სავჩენკო: „დონეცკ-ლუგანსკის წარმომადგენლებს შევხვდები“



უკრაინის პარლამენტის დეპუტატი ნადეჟდა სავჩენკო დონბასს ესტუმრა. სლავიანსკში ის მოსახლეობას შეხვდა.

– დროა, ომი შეჩერდეს და მშვიდობა დამყარდეს! – თქვა სავჩენკომ.

კიევში დაბრუნების შემდეგ ჟურნალისტ მატვეი განაპოლსკისთან საუბარში სავჩენკომ განაცხადა, რომ მზადაა, დონეც-ლუგანსკის წარმომადგენლებს პირადად დაელაპარაკოს.

– სეპარატისტების ტყვეობაში ჩვენი 135 მეომარი რჩება. მათ გათავისუფლებას აუცილებლად უნდა მივაღწიოთ, – თქვა სავჩენკომ.

თავად დონბასში ამ წინადადებამ გაოცება გამოიწვია. სეპარატისტების ერთ-ერთმა ლიდერმა დენის პუშილინმა განაცხადა:

– საოცარია, რომ ჩვენთან მოლაპარაკების იდეით სწორედ სავჩენკო გამოდის, თუმცა, თუკი მას სათანადო უფლებამოსილება ექნება, მასთან მოლაპარაკებისთვის მზადა ვართ.

განაპოლსკის შეკითხვაზე, მიიღებს თუ არა მოლაპარაკებებში მონაწილეობას პრეზიდენტი პოროშენკო, სავჩენკომ უარყოფითად უპასუხა.

– პრეზიდენტი მხოლოდ პრეზიდენტს დაელაპარაკება. ე.წ. დონეცკ-ლუგანსკის რესპუბლიკების ლიდერები ზახარჩენკო და პლოტნიცკი პრეზიდენტები არ არიან. უკრაინაში მხოლოდ ერთი პრეზიდენტია, პეტრო პოროშენკო, – განაცხადა სავჩენკომ.

შეკითხვაზე, როგორ ესახება დონბასის პრობლემის მოგვარება, სავჩენკომ მიუგო:

– რუსეთის მიმართ სანქციები უნდა გაგრძელდეს. რუსეთიც უნდა მიხვდეს, რომ დონბასიდან წასვლა აუცილებელია, – ამბობს სავჩენკო.

დეპუტატის ინიციატივამ უკრაინელ ექსპერტებს შორის არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. ცნობილმა პოლიტოლოგმა ვლადიმერ ფისენკომ განაცხადა:

– სეპარატისტების ლიდერებთან მოლაპარაკება მათ აღიარებას ნიშნავს, რაც კრემლის სცენარია.

უკრაინის უშიშროების სამსახურის შეფის მრჩეველმა იური ტანდიტმა სავჩენკოს სეპარატისტებთან მოლაპარაკებები გამორიცხა:

– ზახარჩენკო და პლოტნიცკი დამნაშავეები არიან, რომელთაც ინტერპოლი ეძებს. მათ ბრალი ედებათ მკვლელობებში, ძარცვებში და ა.შ. ასეთ ხალხთან მოლაპარაკება გამორიცხულია, – აცხადებს ტანდიტი.

## ვიტოლდ ვაშჩიკოვსკი: „რუსეთი მთელი ევროპის თავის ტკივილია“



პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვიტოლდ ვაშჩიკოვსკიმ რუსეთს დასავლეთის მთავარი პრობლემა უწოდა.

– დღეს რუსეთი მთელი ევროპის თავის ტკივილად გადაიქცა. მიზეზი კრემლის აგრესიული პოლიტიკაა, – განაცხადა ვაშჩიკოვსკიმ.

პოლონელმა მინისტრმა ხაზი გაუსვა იმას, რომ ევროპა და მთელი დემოკრატიული სამყარო მოვალეა, რუსეთის ქმედებებზე რეაგირება მოახდინოს. ამ მხრივ პირველი ნაბიჯები უკვე გადაიდგა: მოხდა ნატოს გაძლიერება, რუსეთს დაუწესეს სანქციები და ა.შ. ახლა ამას მეორე ნაბიჯიც უნდა მოჰყვეს.

– ამას უკვე ნატოს ვარშავის სამიტზე დავინახავთ, – თქვა ვაშჩიკოვსკიმ.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

## ბაშარ ასადი: „მტრებს გავანადგურებთ“

სირიის დიქტატორი ბაშარ ასადი ახლად არჩეული პარლამენტის წინაშე გამოვიდა.

მართალია სირიის ე.წ. არჩევნები არც ერთმა ქვეყანამ (გარდა რუსეთისა) არ ცნო, მაგრამ ასადმა არჩევნებს სირიელი ხალხის ნების გამოხატვა უწოდა.

– სირიელთა უმრავლესობამ ჩვენ აგვირჩია, – თქვა ასადმა.

დიქტატორმა ტერორისტები უწოდა ყველას, ვინც მისი რეჟიმის წინააღმდეგ იარაღით ხელში იბრძვის. მან ერთ ტაფაში მოაქცია როგორც ისლამისტი ექსტრემისტები, აგრეთვე ზომიერი მიმართულების სირიელი პარტიზანები.

– ყველა მათგანის უკან უცხოური აგრესიული ანტისირიული ძალები დგანან. ამ ხალხთან ბრძოლა გარეშე აგრესიასთან ბრძოლაა. ჩვენ ყველა გარეშე მტერს გავანადგურებთ, – თქვა ასადმა.





## თურქეთის დეპუტატებს იმუნიტეტი გაუუქმეს

თურქეთის პრეზიდენტმა რეჯებ ერდოღანმა ხელი მოაწერა კანონპროექტს, რომლის ძალითაც თურქეთის პარლამენტის დეპუტატებს იმუნიტეტი გაუუქმდათ. ამიერიდან შესაძლებელია დეპუტატის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა და მისი დაპატიმრებაც.

– ეს კანონპროექტი საშუალებას მოგვცემს, პასუხი ვაგებინოთ მათ, ვინც ტერორისტებთან თანამშრომლობს. მხედველობაში მაქვს ქურთი დეპუტატები, – თქვა ერდოღანმა.

ევროკავშირმა აღნიშნული ქმედება დემოკრატიის შეზღუდვად შეაფასა და ერდოღანი კიდევ ერთხელ გააკრიტიკა.

*კალეიდოსკოპი*



## დაჭრილმა სპილომ დახმარებისთვის ადამიანებს მიმართა

ზიმბაბვეში დაჭრილმა სპილომ დახმარებისთვის ადამიანებს მიაკითხა. სპილოს, სახელად ბენს, ბრაკონიერმა ესროლა. ბრაკონიერისგან თავდაღწეული ცხოველი ტურისტულ კომპლექსში მივიდა, რომლის მენეჯერმა შენიშნა, რომ ბენი კოჭლობდა და, როგორც ჩანდა, მძიმედ იყო დაჭრილი.

ვეტერინარი ადგილზე არ აღმოჩნდა, მაგრამ სხვა სპეციალისტმა არ დაიზარა და 200 მილი (322 კილომეტრი) გამოიარა იმისთვის, რომ ცხოველისთვის დახმარება აღმოეჩინა. ექიმი ადგილზე ექვს საათში მივიდა. მთელი ამ დროის მანძილზე სპილო მოთმინებით იცდიდა.

მას შემდეგ, რაც ბენის ტრანკვილიზატორი შეუყვანეს, აღმოჩნდა, რომ მას მართლაც ტყვია ჰქონდა ნასროლი. კონკრეტულად როდის დაჭრეს ცხოველი, უცნობია. ახლა სპილო ტრეკინგ-მოწყობილობას ატარებს, რათა ადამიანებმა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობას თვალი ადევნონ.

ცხოველს სახელი ბენი სწორედ იმ ადამიანის პატივსაცემად დაარქვეს, რომელმაც მას პირველი დახმარება აღმოუჩინა.

## ორანგუტანგმა ზეწრისგან ჰამაკი გაიკეთა




დიდი ბრიტანეთის ზოოპარკ ტუაიკროსსის ბინადარმა, შრომის მოყვარე ორანგუტანგმა ზეწრისგან ჰამაკი მოიწყო და ამით საკუთარ გონიერებას გაუსვა ხაზი. მის მიერ ჰამაკის შექმნის პროცესის ვიდეოჩანაწერის ნახვა იუთუბიზეა შესაძლებელი.

ვიდეორგოლის გმირი ზეწარს ვოლიერში ხის ტოტებზე ამაგრებს, შემდეგ კი შიგნით მოიკალათებს, ხოლო მეორე ორანგუტანგი მას აქანავებს. თუმცა ერთ-ერთი ნასკვი იშლება და მაიმუნი მიწაზე აღმოჩნდება.

სხვათა შორის, ამ ზოოპარკის ბინადარი ორანგუტანგები პირველად არ მოექცნენ მასმედიის ყურადღების ცენტრში. ადრე, ერთ-ერთმა მათგანმა მოჩვენების როლი გაითამაშა და საკმაოდ გაამხიარულა ზოოპარკის დამთვალიერებლები.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გალიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## განცხადებები

### იყიდება

● იყიდება მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში, (თბილისიდან ნახევარი საათის სავალზე) 1400კვ.მ საკარმიდამო მიწის ნაკვეთი, ნაკვეთი არის შემოსაზღვრული და ახლოს არის კომუნიკაციები. 1400 კვ.მ-ში ჩაყრილია საძირკველი ზომით 9X10-ზე, სოფელში არის წყალი, სინათლე, გაზი. ფასი 1კვ.მ. 3,5$; 593 50-16-08.

### მკურნალობა

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

**მკურნალობა მამაკაცებისთვის!**

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
**კონსულტაცია უფასოა!**
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: აღმაშენებლის 154. „მწვანე ოფისი“.

# ესპანეთი ტიტულის დაცვისთვის ემზადება

მეოთხე ჯგუფი, სადაც ფავორიტი ესპანეთი მოჩანს, ხოლო დანარჩენ გუნდებს თანაბარი შანსი აქვთ, პლეი ოფში გავიდნენ.

## ჯგუფი დ

### ესპანეთი

ასოციაცია დაარსდა 1909 წელს. მეტსახელი ფურია როხა, ლა როხა

ნაკრების ბომბარდირი დავიდ ვილიაა (59), მოქმედი ფეხბურთელებიდან საუკეთესო შედეგი დავიდ სილვას (23).

ფურია როხას შემადგენლობაში ყველაზე მეტი მატჩი იკერ კასილიასმა (165) ჩაატარა, რომელიც დელ ბოსკემ საფრანგეთშიც იახლა და კიდევ აქვს შანსი მისი რაოდენობა გაზარდოს.

ესპანეთის ნაკრებმა 1964 წელს მოიგო ევროპის ჩემპიონატი და მას შემდეგ რამდენიმე ათეული წელი „გვალვა" დაუდგა. თუმცა, 2008 წლიდან ესპანელები საფეხბურთო ამინდს ქმნიან მთელს მსოფლიოში.

ხმაურიანი წარმატებები 2008 წელს დაიწყო, როდესაც ევროპის ჩემპიონატის ფინალში 1:0 მოუგეს გერმანიას. 2 წლის შემდეგ პირველი ევროპული ნაკრები გახდა, რომელმაც სხვა კონტინენტზე მოიგო მსოფლიო ჩემპიონატი. გავიდა კიდევ 2 წელი და ისევ ევროპის ჩემპიონები გახდნენ. ბოლო 4 დიდი საფეხბურთო ფორუმიდან, ესპანელებმა მოიგეს 3.

ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე 36 მატჩი აქვს ჩატარებული: 17 მოგება, 11 ფრე და 8 წაგება. ბურთების შეფარდება – 50:32.

**დასამახსოვრებელი მატჩები:**

**01.07.2012 ესპანეთი-იტალია 4:0**

ეს ამბავი 2012 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალში მოხდა. ესპანელებმა დამაჯერებელი გამარჯვებით დაიცვეს ტიტული და დაადუმეს ის კრიტიკოსები, რომლებსაც ფინალამდე მათი არ მოსწონდათ და დელ ბოსკეს შეგირდების ფეხბურთს მოსაწყენს უწოდებდნენ.



**29.06.2008 ესპანეთი-გერმანია 1:0**

ფერნანდო ტორესის ერთადერთმა გოლმა ესპანელებს ის ნანატრი ტიტული მოუტანა, რომელსაც 44 წლის განმავლობაში ელოდნენ.

21.06.1964 ესპანეთი-სსრკ 2:1

რიგით მეორე ევროფინალში საბჭოელები ჩემპიონის სტატუსით ჩავიდნენ. თუმცა, ესპანელებმა დამაჯერებელი გამარჯვებით თავისი პირველი ტიტული მოიპოვეს.

ესპანეთის ნაკრებმა ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატების შესარჩევ ეტაპზე 2006 წლის ოქტომბერში 0:2 წააგო შვედეთთან და შემდეგი მარცხი 2014 წლის ოქტომბერში იწვნია სლოვაკებთან. წაუგებელი სერია 36 მატჩს გაგრძელდა.

**შემადგენლობა:**

**მეკარეები:** იკერ კასილასი (პორტუ), დავიდ დე ხეა (მანცესტერ იუნაიტედი), სერხიო რიკო (სევილია);

**მცველები:** სერხიო რამოსი (რეალი), ჟერარ პიკე, ხორდი ალბა, მარკ ბარტრა (ბარსელონა), სეზარ ასპილიკუეტა (ჩელსი), მიკელ სან-ხოსე (ატლეტიკი), ხუანფრანი (ატლეტიკო),ეკტორ ბელერინი;

**ნახევარმცველები:** ბრუნო სორიანო (ვილიარეალი), სერხიო ბუსკეტსი (ბარსელონა), კოკე (ატლეტიკო), ტიაგო ალკანტარა (ბაიერნი), ანდრეს ინიესტა (ბარსელონა), ლუკას ვასკესი (რეალი), დავიდ სილვა (მანჩესტერ სიტი), პედრო, ჩესკ ფაბრეგასი (ორივე ჩელსი);

**თავდამსხმელები:** არიც ადურისი (ატლეტიკი), ნოლიტო (სელტა), ალვარო მორატა (იუვენტუსი);

**მწვრთნელი ვისენტე დელ ბოსკე**

### ჩეხეთი



ასოციაცია დაარსდა 1901 წელს. მეტსახელი სახალხო გუნდი

გატანილი გოლებით საუკეთესო მაჩვენებელი იან კოლერს (55) აქვს, მოქმედთაგან – ტომაშს როსიცკის (22).

ყველაზე მეტი მატჩი კარელ პობორჟსკიმ და პეტერ ჩეხმა (118) ჩაატარეს, მათგან ჩეხი საფრანგეთშიც ითამაშებს.

20 წელია ჩეხეთი სუვერენული სახელმწიფოს სტატუსით გამოდის ტურნირებზე და ჯერ ევროპის ჩემპიონატი არ გაუცდენია. პირველივე გამოსვლა წარმატებული აღმოჩნდა – ჩეხებმა 1996 წელს ვერცხლის მედლები მოიპოვეს, როდესაც დამატებით დროში ოლივერ ბირჰოფის „ოქროს გოლით" წააგეს გერმანიასთან. 2004 წელს ჩეხები ნახევარფინალამდეც მივიდნენ.

ჩეხოსლოვაკიის ნაკრებით კი 1976 წელს პენალტების სერიაში გერმანია დაამარცხა და ევროპის ჩემპიონი გახდა, ხოლო 1934 და 1962 წლებში მსოფლიო პირველობებზე ორჯერ ირგუნეს ვერცხლის მედალი.

ევროპის ჩემპიონატის ფინალურ სტადიაზე 29 მატჩი გამართა: 13 მოგება, 5 ფრე, 11 წაგება. ბურთების შეფარდება – 40:38.

**დასამახსოვრებელი მატჩები:**

**19.06.2004 ჰოლანდია-ჩეხეთი 2:3**

2004 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ჩეხები 2 ბურთით აგებდნენ ჰოლანდიასთან, მაგრამ მატჩი შემოატრიალეს და მეოთხედფინალში გავიდნენ.

**26.06.1996 საფრანგეთი-ჩეხეთი 0:0 (5:6პ)**

მატჩის გმირი პეტრ კოუბა გახდა, რომელმაც გადამწყვეტი პენალტი აუღო რეინალდ პედროსს და ჩეხები ევროპირველობის ფინალში გაიყვანა.

**20.06.1976 ჩეხოსლოვაკია-გერმანია 2:2 (5:3პ)**

ეს მატჩი სლოვაკების ჯგუფშიც ვახსენეთ. ჩეხოსლოვაკიამ პენალტების სერიაში დაამარცხა მრისხანე გერმანია.

2012 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ჩეხებმა 1:4 წააგეს რუსეთთან, მაგრამ ჯგუფში მაინც პირველი ადგილი დაიკავეს და პლეი ოფში გავიდნენ.

**შემადგენლობა:**

**მეკარეები:** პეტერ ჩეხი (არსენალი, ინგლისი), ტომაშ ვაცლიკი (ბაზელი, შვეიცარია), ტომაშ კუბეკი (ლიბერეცი);

**მცველები:** თეოდორ გებრე სელასიე (ვერდერი, გერმანია), რომან გუბნიკი, დავიდ ლიმბერსკი (ორივე პლზენი), პაველ კადერაბეკი (ჰოფენჰაიმი, გერმანია), მიხალ კადლეცი (ფენერბაჰჩე, თურქეთი), დანიელ პუდილი (უენსდი, ინგლისი), მარეკ სუხი (ბაზელი, შვეიცარია), ტომაშ სივოკი (ბურსა, თურქეთი);

**ნახევრმცველები:** ვლადიმირ დარიდა (ჰერტა, გერმანია), ბორჟეკ დოჩკალი, ლადისლავ კრეიჩი, იოსიფ შურალი (ყველა სპარტა), დანიელ კოლარი (პლზენი), დავიდ პაველკა (ქასიმფაშა), იაროსლავ პლაშილი (ბორდო, საფრანგეთი), ტომაშ როსიცკი (არსენალი, ინგლისი), ირჟი სკალაკი (ბრაიტონი, ინგლისი);

**თავდამსხმელები:** დავიდ ლაფატა (სპარტა), ტომაშ ნეციდი (ბურსა), მილან შკოდა (სლავია);

**მწვრთნელი პაველ ვრბა**

### თურქეთი

ასოციაცია დაარსდა 1923 წელს. მეტსახელი არ აქვს

საუკეთესო ბომბარდირი ჰაკან შუქურია (51), მოქმედი ფეხბურთელებიდან – ბურაკ ილმაზი (19).

ყველაზე მეტი მატჩი რუშტუ რეჩბერმა (120) ჩაატარა, მოქმედებიდან საუკეთესო მაჩვენებელი ემრე ბერეზოღლუს (94) აქვს.

თურქებს ევროპირველობაზე დებიუტი 1996 წელს ჰქონდათ, რის შემდეგ, კიდევ წარმატებით დაძლიეს 3 შესარჩევი ეტაპი. მხოლოდ ერთხელ მოხვდნენ მსოფლიო ჩემპიონატზე (2002) და მაშინ მიაღწიეს ყველაზე ხმაურიან წარმატებას, როდესაც ბრინჯაოს მედლები დაისაკუთრეს. ხოლო ევროპის ჩემპიონატზე მათი საუკეთესო მაჩვენებელი ნახევარფინალია.



ევროპირველობის ფინალურ სტადიაზე 12 მატჩი ჩაატარეს: 3 მოგება, 2 ფრე, 7 წაგება. ბურთების შეფარდება – 11:18

**დასამახსოვრებელი მატჩები:**

**20.06.2008 თურქეთი-ხორვატია 1:1 (3:1პ)**

2008 წლის ევროპირველობაზე სემიჰ შენთურქის გოლით თურქებმა 112-ე წუთზე გაათანაბრეს ანგარიში, შემდეგ პენალტების სერიაში იმარჯვეს და ნახევარფინალში გავიდნენ.

**11.06.2008 შვეიცარია-თურქეთი 1:2**

იმავე წელს ჯგუფურ ეტაპზე შვეიცარიაზე შემოსული შენთურქის გოლით გაათანაბრეს, ხოლო 92-ე წუთზე არდა თურანის გოლით მოიგეს და პლეი ოფში გავიდნენ.

**19.06.2000 თურქეთი-ბელგია 2:0**

2000 წლის ევროპირველობაზე ჰაკან შუქურის დუბლით თურქებმა მასპინძლები დაამარცხეს და პირველად გავიდნენ პლეი ოფში.

აღსანიშნავია რომ, თურქებმა 9 შესარჩევი ეტაპი წარუმატებლად გაიარეს, სამაგიეროდ, ბოლო 6 შესარჩევიდან 4 დაძლიეს.

**შემადგენლობა:**

**მეკარეები:** ჰარუნ ტეკინი (ბურსა), ონურ კივრაკი (ტრაბზონი), ვოლკან ბაბაჯანი (ბაშაქშეჰირი);

**მცველები:** გიოჰკან გიუნული, შენერ ოზბაირაკლი, მეჰმეთ ტოპალი, ჩანერ ეკინი (ყველა ფენერბაჰჩე), აჰმეთ ჩალიკი (გენჩლერი), ჰაკან ბალტა, სემი კაია (ორივე გალათასარაი), ისმაილ ქეიბაში (ბეშიქთაში);

**ნახევარმცველები:** ემრე მორი (ნორდსიელანდი, დანია),ვოლკან შენი, იოზან თუფანი (ორივე ფენერბაჰჩე), ჰაქან ჩალჰანოღლუ (ლევერკუზენი, გერმანია), არდა თურანი (ბარსელონა, ესპანეთი), სელჩუკ ინანი (გალათასარაი), ოლჯაი შაჰანი, ოგუზღან ოზიაკუპი (ორივე ბეშიქთაში), ნური შაჰინი (ლივერპული, ინგლისი);

**თავდამსხმელები:** ბურაკ ილმაზი (ბეიჯინგ გოანი, ჩინეთი), ჩენკ ტოსუნი (ბეშიქთაში), იუნუს მალი (მაინცი, გერმანია);

### ხორვატია



ასოციაცია დაარსდა 1912 წელს. მეტსახელი არ აქვს

საუკეთესო ბომბარდირი დავორ შუკერია (45), მოქმედი ფეხბურთელებიდან – დარიო სრნა (21).

სრნას ეკუთვნის რეკორდი ჩატარებული მატჩებით (127). ის გუნდს საფრანგეთშიც ახლავს.

იუგოსლავიის დაშლის (1991) შემდეგ ხორვატიის ნაკრები მალე გაიზარდა გუნდად, ვისთანაც თამაში ადვილი არ არის. ხორვატები პირველივე ცდაზე მოხვდნენ ევროპის ჩემპიონატზე, ხოლო 1998 წელს საფრანგეთში გამართულ მუნდიალზე მე-3 ადგილი დაიკავეს, სადაც შუკერი საუკეთესო ბომბარდირი გახდა 6 გატანილი გოლით.

ევროპის ჩემპიონატზე რეგულარულად ხვდებიან, მაგრამ ჯგუფიდან სულ ორჯერ გავიდნენ. ჩატარებულ 14 მატჩში 6 მოგება, 4 ფრე და 4 წაგება აქვთ. ბურთების შეფარდება – 18:16.

**დასამახსოვრებელი მატჩები:**

**11.11.2011 თურქეთი-ხორვატია 0:3**

2012 წლის ევროპის ჩემპიონატზე მოსახვედრად ხორვატები გადათამაშებაში შეხვდნენ თურქებს და მათსავე მოედანზე გამანადგურებელი მარცხი აგემეს.

**21.11.2007 ინგლისი-ხორვატია 2:3**

ფეარ პლეის შესანიშნავი მაგალითი. ხორვატები გასული იყვნენ ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე. ინგლისს წაგება არ აწყობდა, მაგრამ მლადენ პეტრიჩის გოლით 90.000 ინგლისელი გულშემატკივარი შოკში ჩავარდა – მათი გუნდი ფინალურ ეტაპს მიღმა აღმოჩნდა.

**16.06.1996 ხორვატია-დანია 3:0**

პირველი გასვლა ფინალურ ეტაპზე და პირველი შესანიშნავი გამარჯვება. ასევე დასამახსოვრებელი შუკერი გოლი, რომელიც პიტერ შმეიხელს გაუტანა.

**შემადგენლობა:**

**მეკარეები:** ლოვრე კალინიჩი (ჰაიდუკი), დანიელ შუბაშიჩი (მონაკო, საფრანგეთი), ივან ვარგიჩი (რიეკა);

**მცველები:** დარიო სრნა (შახტარი, უკრაინა), ბედრან ჩორლუკა (ლოკომოტივი, რუსეთი), სიმე ვრსალიკო (სასუოლო, იტალია), დომაგოი ვიდა (დინამო, უკრაინა), ივან სტრინიჩი (ნაპოლი, იტალია), გორდონ შინდენფელდი (დინამო), ტინ იედვაი (ლევერკუზენი, გერმანია);

**ნახევარმცველები:** ივან რაკიტიჩი (ბარსელონა, ესპანეთი), ლუკა მორდიჩი, მატეო კოვაჩიჩი (ორივე რეალი, ესპანეთი), მილან ბადეი (ფიორენტინა, იტალია), ივან პერიშიჩი, მარსელო ბროზოვიჩი (ორივე ინტერი, იტალია), მარკო როგი, ანტე როგიჩი (ორივე დინამო);

**თავდამსხმელები:** მარიო მანჯუკიჩი (იუვენტუსი, იტალია), ნიკოლა კალინიჩი (ფიორენტინა, იტალია), ანდრეი კრამარიჩი (ჰოფენჰაიმი, გერმანია), ჟე კოპი (მალაგა, ესპანეთი), მარკო პიაცა (დინამო);

**მთ. მწვრთნელი:** ანტე ჩაჩიჩი

**12 ივნისი: 15:00 თურქეთი-ხორვატია;**

**13 ივნისი: 15:00 ესპანეთი-ჩეხეთი;**

**17 ივნისი:** 18:00 ჩეხეთი-ხორვატია;
**17 ივნისი:** 21:00 ესპანეთი-თურქეთი;
**21 ივნისი:** 21:00 ჩეხეთი-თურქეთი;
**21 ივნისი:** 21:00 ხორვატია-ესპანეთი

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე", სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

# ისტორიული გამარჯვება მადრიდში


დასაწყისი მე-12 გვერდზე

**ესპანეთი:** დე ხეა, პიკე, სერხიო რამოსი (სან ხოსე), ალბა, ხუანფრანი (ბელერინი), ბუსკეტსი (პედრო), ფაბრეგასი (ინიესტა), ტიაგო ალკანტარა (კოკე), ლუკას ვასკესი (სილვა), ნოლიტო, ადურისი.

**მთავარი მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე**

**საქართველო:** რევიშვილი (კვასკვაძე), ამისულაშვილი, ნავალოვსკი (კობახიძე), ლობჟანიძე, კაშია, კვერკველია, ჯიღაური, ოქრიაშვილი, აბურჯანია(ცისკარიძე), ყაზაიშვილი (ჭანტურია), დვალიშვილი(ქვილითაია)

**მთავარი მწვრთნელი: ვლადიმირ ვაისი**

საქართველოს ნაკრების მიერ სლოვაკეთთან 1:3 და რუმინეთთან 1:5 წაგებული ამხანაგური შეხვედრების შემდეგ ესპანეთთან თამაში კარგი შანსი იყო მაყურებლის თვალში რეაბილიტაციის მოსახდენად.

ბუნებრივია, ესპანელები ფავორიტები იყვნენ და მათგან ყველა მხოლოდ გამარჯვებას ელოდა, მაგრამ ასე არ მოხდა.

მატჩი საკმაოდ ნელ ტემპში დაიწყო და ესპანეთის ნაკრები ბურთს დამაჯერებლად აკონტროლებდა. პირველ 30 წუთში მხოლოდ არიც ადურისის თავური დარტყმა და ტიაგოს შორიდან გასროლილი შეგვიძლია გამოვყოთ, როდესაც ბურთი ჩვენი კარის ძელს მოხვდა. მე-40 წუთზე ვალერი ყაზაიშვილმა, ჯაბა ჯიღაურმა და თორნიკე ოქრიაშვილმა ლამაზი კომბინაცია გაითამაშეს, რომელსაც ამ უკანასკნელის გოლი მოჰყვა ესპანეთის ნაკრების კარში – 0:1.

პირველ ნახევარში მეტი საინტერესო არაფერი მომხდარა.

მატჩის მეორე ტაიმი ესპანელებმა აქტიურად დაიწყეს, მაგრამ საქართველოს ნაკრები დაცვაში დამაჯერებლად მოქმედებდა და მეტოქეს თითქმის არ უტოვებდა თავისუფალ სივრცეებს. ანდრეს ინიესტას გამოსვლამ ესპანეთის ნაკრები გამოაცოცხლა, მაგრამ მასპინძლებს კვლავ უჭირდათ საგოლე მომენტის შექმნა.

ქართველმა ფეხბურთელებმა მშვიდად შეინარჩუნეს უპირატესობა და ისტორიულ გამარჯვებასაც მიაღწიეს, ესპანელები კი მატჩის დასრულების შემდეგ მაყურებელმა მოედნიდან სტვენით გააცილა.

ვისენტე დელ ბოსკემ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ უკმაყოფილოა თავისი ფეხბურთელების გარჯით და იმედოვნებს, რომ ევროპის ჩემპიონატზე ისინი უკეთეს ფეხბურთს აჩვენებენ. გარდა ამისა, დელ ბოსკემ აღნიშნა, რომ საქართველოს ნაკრები ტაქტიკურად კარგად თამაშობდა და ესპანელებს თითქმის არ უტოვებდა სივრცეებს შეტევების განსახორციელებლად.

ვლადიმირ ვაისი კმაყოფილებას არ მალავდა.

– ეს ისტორიული გამარჯვებაა და ჩვენთვის ამ შეხვედრის მოგება ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ესპანელებს საოცარი ფეხბურთელები ჰყავთ, მაგრამ საუკეთესო ის არის, ვინც იმარჯვებს. ფეხბურთელებს კარგი თამაშისთვის მადლობას ვუხდი, – განაცხადა საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა.

ვაისმა ასევე აღნიშნა, რომ აუცილებლად გაფრინდება საფრანგეთში და ევროპის ჩემპიონატზე ჩვენს მეტოქე გუნდებს ყურადღებით დააკვირდება.

უკვე 5 სექტემბერს საქართველოს ეროვნული ნაკრები 2018 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე პირველ შეხვედრას ჩაატარებს და ჩვენი მეტოქე საკმაოდ ძლიერი ავსტრიის ნაკრები იქნება.

გარდა ავსტრიისა, ჩვენს ქვეჯგუფში უელსის, ჩრდილოეთ ირლანდიის, მოლდოვის და სერბეთის ეროვნული გუნდები არიან.

**ბექა გოგინაშვილი**

## უნაი ემერი შესაძლოა პსჟ-ს მთავარი მწვრთნელი გახდეს



სევილიის მთავარი მწვრთნელი უნაი ემერი მომავალ წელს შესაძლოა პსჟ-ს ჩაუდგეს სათავეში. ამის შესახებ ინფორმაცია ფრანგულ პრესაში ვრცელდება.

პარიზული გუნდის მფლობელები ლორან ბლანის მუშაობით უკმაყოფილოები არიან და სავარაუდოდ მას ზაფხულში დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლებენ.

ემერი ესპანეთში ერთ-ერთ საუკეთესო სპეციალისტად ითვლება და მისი ხელმძღვანელობით სევილიამ ზედიზედ სამჯერ მოახერხა ევროპის ლიგის მოგება. სევილიამდე უნაი ემერი ვალენსიასა და მოსკოვის სპარტაკში მუშაობდა, თუმცა შედარებით ნაკლები წარმატებით.

პსჟ ესპანელ მწვრთნელს სავარაუდოდ რამდენიმეწლიან კონტრაქტს შესთავაზებს.

## კრისტიან ბენტეკეს ლივერპულიდან წასვლა არ სურს



ლივერპულის ბელგიელმა ფორვარდმა კრისტიან ბენტეკემ თავის მომავალზე ისაუბრა და თქვა, რომ ლივერპულში დარჩენა სურს.

ბენტეკეს თქმით, ბევრი რამ იურგენ კლოპზე იქნება დამოკიდებული.

– როდესაც იურგენი მოვიდა, მივხვდი, რომ მის გეგმებში არ შევდიოდი. ამის გაანალიზება მტკივნეული იყო, მაგრამ მის გადაწყვეტილებას პატივს ვცემ. ჩემი ლივერპულში დარჩენა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ კლოპს დავჭირდები, – განაცხადა ბელგიელმა ფორვარდმა.

კრისტიან ბენტეკეს ტრანსფერში ლივერპულმა 32 მილიონი გადაიხადა, მაგრამ ბელგიელმა მოლოდინის გამართლება ვერ შეძლო.

## ფერნანდო იერო ოვიედოს მწვრთნელი გახდა



მადრიდის რეალის ლეგენდა ფერნანდო იერო სამწვრთნელო საქმეში ჩაერთო. ის ესპანეთის მეორე დივიზიონის გუნდის, რეალ ოვიედოს დამრიგებელი გახდა.

ოვიედო 90-იან წლებში საკმაოდ პოპულარული კლუბი იყო, მაგრამ ფინანსური კრიზისის გამო პოზიციები დათმო და პრიმერა დივიზიონიდან გავარდა კიდეც.

იერო 48 წლის არის და არცთუ დიდი სამწვრთნელო გამოცდილება აქვს, თუმცა მის დანიშვნას ოვიედოს გულშემატკივრები იმედიანად უყურებენ.

ფერნანდო საქმიანობას უახლოეს დღეებში შეუდგება.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**


## მალამო „მენტორი პირველი“

ჯერ კიდევ ადრე, 1900-იან წლებში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ცნობილი ეროვნული ქართველი მეწარმე ლენტორ ღვანიძე. თბილისში ჰქონდა ბამბის ფაბრიკა, თამბაქოს ფაბრიკა.

ბატონმა ლენტორ ღვანიძემ სამკურნალო მცენარეებისგან დაამზადა უნიკალური, საუკეთესო, ეფექტური მალამოები.

ბაბუის პატივსაცემად დავარქვი მენტორი პირველი, მენტორი ორი, მენტორი სამი, მენტორი ხუთი.

მენტორი პირველი გამოიყენება შემდეგი დაავადების სამკურნალოდ – ართროზის, რადიკულიტის, სახსრებში მარილების დაგროვების, პოდაგრის, ფრჩხილების სოკოვანი დაავადების. მალამო უნდა წაისვათ დილას და საღამოს, მტკივნეულ ადგილებში.

**დარეკეთ შემდეგ ტელეფონზე: 599-73-48-21.**


## ასტროპროგნოზი
### 9 ივნისისთვის



**ვერძი** – ახალი იდეებითა და სასიცოცხლო ენერგიით ხართ სავსე. ნებისმიერ საქმეს შემოქმედებითად მიუდექით. ასევე დაგჭირდებათ მოქნილობა და უნარი, სიტუაცია თქვენ სასარგებლოდ შემოაბრუნოთ. **კურო** – შანსი გეძლევათ, მატერიალურ პრობლემებს თავი დააღწიოთ. მიენდეთ განსაკუთრებულად გამახვილებულ ინტუიციას. **ტყუპები** – ელოდეთ სიურპრიზს. პრობლემები თქვენ სასარგებლოდ გადაწყდება. შესაძლოა სასიამოვნო ახალი ამბავიც შეიტყოთ. **კირჩხიბი** – შესაფერისი დროა, თქვენი ტალანტი და ღირსებები მთელი სისრულით წარმოაჩინოთ. ოჯახური დღესასწაულების გასამართად ძალებს ნუ დაიშურებთ. **ლომი** – დღეს ძალიან გიმართლებთ. ნუ დაწვრილმანდებით. თამამად გარისკეთ. გაითვალისწინეთ გარშემომყოფთა ინტერესებიც.**ქალწული** – მხოლოდ საუკეთესოს იმსახურებთ. თქვენს შრომას სათანადოდ დააფასებენ. მიენდეთ ინტუიციას. არ ინანებთ. **სასწორი** – იაქტიურეთ. ერთ ადგილას ნუ იჯდებით. მიიღეთ კონკრეტული გადაწყვეტილებები. ილუზიების აყოლა უაზრობაა. **ღრიანკალი** – პირველ რიგში, მხოლოდ აუცილებელი საქმით დაკავდით. ინსტინქტურად არ იმოქმედოთ. მოვლენების საღად გაანალიზება დღეს განსაკუთრებით დაგჭირდებათ. **მშვილდოსანი** – ბევრ საქმეს ერთდროულად ნუ შეეჭიდებით. უმჯობესია, თანმიმდევრულობა დაიცვათ. სიყვარულში ამ ეტაპზე უფრო თეორეტიკოსი ხართ, ვიდრე პრაქტიკოსი. **თხის რქა** – ფრთხილად იმოქმედეთ. გაფანტული ხართ, რითიც არამზადები ისარგებლებენ. ჯანმრთელობას დიდი ყურადღება დაუთმეთ. **მერწყული** – პოპულარობის პიკზე ხართ. ყველას ყურადღებას იპყრობთ. სამუშაოთი თავს ნუ გადაიტვირთავთ. დროა, დაისვენოთ და ძალები აღიდგინოთ. **თევზები** – რეალობა იცვლება, თანაც არცთუ საუკეთესო კუთხით. საკმაო დისკომფორტს გრძნობთ. თქვენი ღირსებების წარმოსაჩენად დიდი ძალისხმევა დაგჭირდებათ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ნივთიერების დაშლა სინათლის ზემოქმედების შედეგად; 2. ბალახზე, ფოთლებზე შეყინული ორთქლი; 3. მომაბეზრებლად ბევრი ლაპარაკის მოყვარული ადამიანი; 4. ოქროს ჩამოსასხმელი ყალიბი; 5. ქართველი კინორეჟისორი ქალი; 10. ხალხური ზეპირსიტყვიერება; 11. ბაბილონის დედოფალი; 12. გზის საფარი; 15. კათოლიკური ეკლესიის მცველი; 16. ფულის ერთეული უკრაინაში; 17. ფრინველთა კვერცხების შემსწავლელი დისციპლინა; 22. ვერცხლით დაფარული დანა-ჩანგალი.

**თარაზულად:** 6. სხვისი რწმენის, აზრების შემწყნარებლობა; 7. ძველებური, გადასახდელ-ზედიანი საქირაო ეტლი; 8. ხატვის ერთ-ერთი ჟანრი; 9. წყალი მყარ მდგომარეობაში; 13. დაბალი ხარისხის თამბაქო; 14. კონიაკის მწარმოებელი უძველესი ფრანგული ფირმა; 18. სახელმწიფო ახლო აღმოსავლეთ აზიაში; 19. კუს ტბის ძველი სახელწოდება; 21. მონღოლი მწყემსი; 22. მთიანეთი აზიაში; 23. ქვის ხანის უძველესი პერიოდი; 24. სახარატო ჩარხის მთავარი მბრუნავი ლილვი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. ბუტი; 2. ილი; 3. ხაბიზგინა; 4. ოდიში; 5. სახიობა; 8. იორი; 9. ბოჰემია; 10. ფელამუში; 12. ბელუჩი; 13. უფიცა; 15. ოპიზა.

**თარაზულად**: 1. ბობსლეი; 6. მასმედია; 7. ტაიჭი; 10. ფლიდი; 11. ბრავო; 13. უწერა; 14. თეთრა; 16. უშტი; 17. არაქისი; 18. ასტანა.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. ბაბუშერა; 2. აცეტატი; 3. გიუმი; 4. სერბეთი; 5. კუმურდო; 10. ჰელვეცია; 11. ყაზაიშვილი; 12. ერლიფტი; 15. აბსოლუცია; 16. აიაქსი; 17. წურბელა; 20. ჯეზვე.

**თარაზულად**: 6. ჰალუცინაცია; 7. შერბური; 8. ქლიბაძე; 9. დებეტი; 13. მონე; 14. საჰარა; 18. ფიროსმანი; 19. გურია; 21. ჩექმა; 22. ფიზიკა; 23. განდეგილი; 24. აგასფერი.

# „ვეფხისტყაოსანი“ აფხაზურადაც ითარგმნა




შოთა რუსთაველის 850 წლის იუბილესთან დაკავშირებით, იუნესკომ 2016 წელი შოთა რუსთაველის წლად გამოაცხადა. ამ იუბილესთან დაკავშირებით, საქართველოში სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები იმართება.

მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში ჩატარდა სპეციალური ღონისძიება, „ვკითხულობთ ვეფხისტყაოსანს“, სადაც რუსთაველის უკვდავი პოემა 14 ენაზე წაიკითხეს. ღონისძიებაში მონაწილეებმა „ვეფხისტყაოსანი“ წაიკითხეს ქართულად, არაბულად, თურქულად, ინდურად, იაპონურად, გერმანულად, ფრანგულად, ესპანურად, ინგლისურად, ბერძნულად, სომხურად, რუსულად, აზერბაიჯანულად. სპეციალურად ამ საღამოსთვის პოემა აფხაზურადაც ითარგმნა და სასახლეში შეკრებილმა საზოგადოებამ „ვეფხისტყაოსანი“ აფხაზურადაც მოისმინა. ყველა მონაწილეს გადაეცა სპეციალური სიგელი.

# „მარუნ 5“ ბათუმში საათნახევრიანი შოუთი წარდგა



მსოფლიოში ცნობილი ჯგუფი „მარუნ 5“ ბათუმში შეკრებილი ათასობით მსმენელის წინაშე საათნახევრიანი შოუთი და ცნობილი ჰიტებით წარდგა. უამინდობის მიუხედავად, ანბანის კოშკთან მოწყობილ სივრცეში 30 ათასზე მეტი მსმენელი შეიკრიბა.

„მარუნ 5-ის კონცერტი ფესტივალის ჰით ბათუმის ფარგლებში მოეწყო. ჯგუფი ლოს-ანჯელესშია შექმნილი და თავისი ჰიტებით, სოლისტის გამორჩეული ვოკალით და დამახასიათებელი ხმის ტემბრით დღეისათვის წამყვან პოზიციებს იკავებს მუსიკალურ ჩარტებში.

მრავალი პრიზის მფლობელმა ჯგუფმა გრემის ჯილდოც მიიღო და მსოფლიო მასშტაბით 17 მილიონზე მეტი ალბომი გაყიდა. ჯგუფის სოლისტი ადამ ლევაინი ჩარტების 53 წლიანი ისტორიის განმავლობაში არის პირველი არტისტი, რომელიც ერთდროულად იკავებდა მოწინავე პოზიციებს როგორც სოლო-შემსრულებელი, ასევე მუსიკალური ჯგუფის წევრი.

ბათუმურ კონცერტამდე ერთი დღით ადრე, ჯგუფის წევრებმა ანსამბლ „ერისიონს“ მოუსმინეს და იმდენად მოიხიბლნენ მათი მრავალხმიანობით, რომ ქართველების მიერ შესრულებული სიმღერა ვიდეოზე გადაიღეს და საკუთარ ფეისბუქის ოფიციალურ გვერდზე ატვირთეს. ჯგუფის ფანებმა ვიდეოს საოცრება უწოდეს და მას დღეისთვის ათასობით გაზიარება აქვს.

კონცერტის სოლისტმა ადამ ლევაინმა მსმენელს სიურპრიზი მოუწყო და კონცერტის მსვლელობისას სცენაზე „ერისიონი“ მიიწვია. მომღერალმა ქართული მრავალხმიანობის ფონზე თავისი ერთ-ერთი ცნობილი ჰიტი შეასრულა, რამაც მაყურებლის აღფრთოვანება გამოიწვია.

გადაუღებელი წვიმის მიუხედავად, ბათუმში შეკრებილებისთვის კონცერტმა მაინც არაჩვეულებრივად ჩაიარა.

# მსახიობის გადასარჩენად საქველმოქმედო აქცია გაიმართება



— დავუბრუნოთ ოსტატი სცენას! — ამ მოწოდებით გამოდიან გრიბოედოვის თეატრის მსახიობები და საზოგადოებას კოლეგის, მიხეილ ამბროსოვის სიცოცხლის გადასარჩენად დახმარებას სთხოვენ.

მსახიობს მეოთხე სტადიის სიმსივნე დაუდგინეს. მის გადასარჩენად თეატრი საქველმოქმედო აქციებს ჩაატარებს, მათ შორის არის გამოფენა-გაყიდვა, რომელიც 12 ივნისს, რიყის პარკში გაიმართება.

ინფორმაციას გრიბოედოვის თეატრის მსახიობი ნინა კალატოზიშვილი ავრცელებს:

— გრიბოედოვის თეატრის მსახიობი მიხეილ ამბროსოვი ურთულეს მდგომარეობაშია. მას დაუდგინეს მე-4 სტადიის სიმსივნე.

მიშას მეგობრებმა და კოლეგებმა გადავწყვიტეთ, ჩავატაროთ რამდენიმე საქველმოქმედო აქცია, მათ შორის გამოფენა-გაყიდვა რიყის პარკში!

გასაყიდად გამოტანილი იქნება ყველაფერი, რისი გაყიდვაცაა შესაძლებელი: ტილოები, ჩანახატები, ხელნაკეთი აქსესუარები, ტანსაცმელი, წიგნები, ჭურჭელი, დეკორატიული ნივთები და ა.შ. ყველა, ვისაც სურვილი აქვს, გაყიდოს თავისი ნამუშევრები და ნივთები სიცოცხლის გადასარჩენად, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ.

# სოფო ნიჟარაძეზე თავდამსხმელი დაკითხეს



მომღერალ სოფო ნიჟარაძეზე „იქს ფაქტორის“ მესამე ლაივ შოუზე თავდასხმა განხორციელდა. შოუს დასრულების შემდეგ, მოულოდნელად სცენაზე უცნობი მამაკაცი ავიდა და მომღერალს სახეში მუშტი დაარტყა. დამნაშავე ფილარმონიის დაცვამ სცენიდან გაიყვანა, თუმცა მან გაქცევა მოახერხა.

სოფო ნიჟარაძის ცემაში ბრალდებული შინაგან საქმეთა სამინისტროში დაკითხვაზე იმყოფებოდა. ჩვენების თანახმად, მას სოფო ნიჟარაძესთან მხოლოდ დალაპარაკება სურდა, თუმცა მომღერალმა მას უხეშად უპასუხა, რასაც ინციდენტი მოჰყვა.

ბრალდებულმა ასევე განაცხადა, რომ მას სოფო ნიჟარაძისთვის მძიმე დაზიანება არ მიუყენებია და არც სასწრაფო დახმარების რამდენიმე ბრიგადა ყოფილა საჭირო. მისთვის არც ის ყოფილა ცნობილი, რომ კონცერტი პირდაპირი ეთერით შუქდებოდა.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ, ფილარმონიის საკონცერტო დარბაზში მომხდარ ინციდენტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 125-ე მუხლით დაიწყო. ამ მუხლით გათვალისწინებული დანაშაული ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით, ვადით 120-დან 180 საათამდე ან 15 თვემდე ვადით გამასწორებელი სამუშაოს შესრულებით.

როგორც ჟურნალისტებს სოფო ნიჟარაძის დედამ განუცხადა, მომღერალი თავს კარგად გრძნობს:

— საბედნიეროდ, სახეში არ მოურტყამს, უკნიდან კისერში და კეფაში მოხვდა ხელი. არაფერი სერიოზული, მსუბუქი დაზიანება აქვს, გადარჩა, რომ სახეში არ მოხვდა ხელი. ეტყობა, კარგად ვერ მისწვდა. სოფო ამ ადამიანს არ იცნობს და წარმოდგენა არ აქვს, ვინ არის.

# თინათინ ვარდანაშვილი გარდაიცვალა



ქართული ფილმების გულშემატკივრებმა კარგად იციან ფილმები „როცა აყვავდა ნუში“ და „ჩარი რამა“. ლანა ღოღობერიძის ფილმში შესრულებული ხათუნას როლი და ნიკოლოზ სანიშვილის ფილმში შესრულებული ნელის როლი საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ თინათინ ვარდანაშვილი ფართო საზოგადოებას გულწრფელად შეეყვარებინა. ზურა ყიფშიძისა და გოგი ქავთარაძის ულამაზესი პარტნიორი დიდხანს ახსოვდა მაყურებელს.

ოჯახის შექმნამ და შვილებმა თინა კინოს ჩამოაშორა, თუმცა სერგო ქობულაძის რძალმა მთელი ცხოვრება მაინც სახელოვნებო გარემოცვაში გაატარა. მიუხედავად იმისა, რომ ეკრანებზე არ ჩანდა, მადლიერი მაყურებლის უდიდეს სიყვარულს სიცოცხლის ბოლომდე გრძნობდა.

# „მიმინო“ გაგრძელდება



გიორგი დანელიას ფილმი „მიმინო“, რომელიც კინოკლასიკად არის აღიარებული, გაგრძელდება.

საქართველომ „მოსფილმისგან“'„მიმინოს“ გაგრძელების გადაღების უფლება ოფიციალურად შეიძინა. „მიმინოს“ გაგრძელების უფლება ქართველმა ბიზნესმენმა ზურაბ ჩიგოგიძემ შეისყიდა.

ზურაბ ჩიგოგიძემ ფილმის გადაღებების უფლება შეიძინა არა მარტო მოსფილმისგან, არამედ ფილმის პერსონალური მფლობელებისგან, სცენარის ავტორებისგან გიორგი დანელიასგან, რევაზ გაბრიაძისგან და ვიქტორია ტოკარევასგან და ასევე ფილმის მუსიკის უფლება კომპოზიტორ გია ყანჩელისგან.

„მიმინო – ფრენა გრძელდება“ — ასეთი იქნება ფილმის მეორე ნაწილის სახელწოდება. 'ფილმის გადაღებები უახლოეს მომავალში დაიწყება. ამ ეტაპზე რეჟისორის შერჩევა მიმდინარეობს.

სავარაუდოდ, ფილმის გამოსვლიდან 40 წლის იუბილეზე „მიმინოს“ გულშემატკივრები ახალ ფილმს იხილავენ.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# სამგლოვიარო განცხადებები



ქ.თბილისის კრილოვის ქუჩის სამეზობლო იუწყება

## ფრიდონ ოშაყმაშვილის

გარდაცვალებას.

ვიზიარებთ ოჯახის უსაზღვროდ ღრმა მწუხარებას, თანაგრძნობას ვუცხადებთ ნათესავებს, ახლობლებს, ფრიდონის დიდ სამეგობროს და მათ ოჯახებს, ვუზიარებთ მწუხარებას ერთმანეთს მოულოდნელობით თავზარდაცემულები და თქვენთან ერთად ვტირით.

ფრიდონ! შენ მთის მდინარესავით მოუვარდი ამ ცხოვრებას, ლამაზი, ამაყი, ნიჭიერი, თავისუფალი და შენი უსაშველო სიკეთითა და ხალასი იუმორით ბედნიერებას თესავდი ყველგან. ჯერ ძალიან ახალგაზრდას, კიდევ რამდენი ბედნიერება და სიხარული უნდა მოგეტანა. სხვის ბავშვებზე გიჟდებოდი, მხრებით ატარებდი მათ (ყველამ გაიხაროს), მაგრამ შენი ველარ მოასწარი... ერთ დღეში დამთავრდა ყველაფერი. დათრგუნულები და უძლურები ვიდექით და ლოცვითა და ცრემლით ველოდით სიკვდილ-სიცოცხლის ჭიდილის შედეგს. კარს მიღმა ყველა თავს გეხვია და იბრძოლა შენი სიცოცხლის გადასარჩენად, მაგრამ ამაოდ. რა და როგორ მოგერია, ამ მთასავით ძლიერ ბიჭს?! ამის პასუხი არავინ იცის. ეს ალბათ შენი ბედისწერა და განგების ნება იყო, რომლის წინაშეც ყველა უძლური აღმოჩნდა. სიკვდილსაც არ მოუხარე ქედი, შეხვდი შენი გამორჩეული ღირსებით მშვიდად და ლამაზად. წახვედი ასე მოულოდნელად და შენდა უნებურად, თან გაიყოლე ჩვენი დაგლეჯილი გულები. აწი ველარ ვიხილავთ შენს ბრდღვიალა, მაგრამ რატომღაც სევდიან თვალებს. ცრემლებად იწვიმებს შენი მოგონება. ჩვენთვის შენს ოჯახთან ერთად გაგრძელდება გრძელი და რუხი დღეები, გლოვა და სასოწარკვეთა... და დარჩება მხოლოდ ლეგენდა ერთ თბილისელ ბიჭზე, რომელმაც ფერადი, სუფთა და ლამაზი გზით იარა.

კიდევ ერთხელ გითანაგრძნობთ მწუხარებაში მყოფთ და გისურვებთ მხნეობას, რათა უფლისადმი ლოცვითა და ვედრებით დავეხმაროთ ჩვენს საყვარელ ბიჭს სააქაო წუთისოფლიდან სამარადჟამო დიდ სოფელში გარდასვლაში, სადაც მას არანაკლებ კაი ბიჭები დახვდებიან და უფალი მას მათთან ერთად შესაბამისად საკადრის სამარადჟამო სასუფეველს დაუმკვიდრებს.

„ღმერთო, მიეცი ამ ბიჭებს მეორედ მოსვლის უფლება“!

ჯანმრთელობას და გამძლეობას გისურვებთ ყველას!

უფალი გფარავდეთ, ამინ!



## მედიკო ქებურიას ხსოვნას

უშენობის ერთი წელი ცრემლიანი და აუტანლად ტკივილიანი იყო და-ძმებისთვის, სანათესავოსთვის, შენი დიდი სამეგობროსთვის. უფროსი დაიკო, ყველას დამკვალიანებელი, ყველას სულიერი მეგობარი, ყველას სიამაყე, ყველაზე თბილი და მოსიყვარულე... შენი წასვლა წარმოუდგენელი იყო ჩვენთვის... სასტიკი სენის წინაშე უძლური აღმოჩნდა ჩვენი ყველა მცდელობა, რომ გვეხსნა შენი სიცოცხლე და შენ გვერდით ყოფნის ბედნიერება არ დასრულებულიყო. სარეცელს მიჯაჭვული ჩვენი მოხუცი დედიკო ვერ გავიმეტეთ ამ ტკივილისთვის და დღემდე ვუმალავთ ჩვენს ტრაგედიას... მისგან მოშორებით, უჩუმრად დაგტირით დები...

შენი სულიერი სილამაზე და იშვიათი მომხიბვლელობა ყველას იზიდავდა, სულ ხალხში ტრიალებდი, სკოლებში, საბავშვო ბაღში, კვლევით ინსტიტუტში, სადაც კი გიმუშავია... ყოველთვის გაღელვებდა საზოგადო და საქვეყნო სატკივარი, მუდამ იქ იდექი, სადაც ქვეყნის ბედი წყდებოდა. იბრძოდი საქართველოს დამოუკიდებლობისთვის, სამართლიანობისთვის, სიკეთისთვის, ახალი თაობის მაღალი სულიერებითა და ეროვნული ღირებულებებით აღზრდისთვის. როგორ ატკინე მეგობრებს გული, რამდენი ხალხი მოდიოდა შენს სანახავად საავადმყოფოსა თუ სახლში, უკანასკნელ გზაზე გაცილებისას...

ის გვანუგეშებს, რომ მარტო არ ხარ, უსაყვარლეს ადამიანებთან წახვედი, სიცოცხლე გწყუროდა, მაგრამ სიკვდილსა და ზეცაში ამაღლებას საოცარი ღირსებით და მოთმინებით ხვდებოდი... გვერდით გყავს უსაყვარლესი დისშვილი, სოსო წულაძე, ნაადრევად, ტრაგიკულად წასული, რომელიც შვილივით გიყვარდა და რომლის სიკვდილი ვერ მოინელე.

კოლხის ქალო! — ასე მოგმართავდნენ მეგობრები და ეს გიხაროდა... ჩვენც შემოგხაროდით... ახლა კი... შენი საფლავი გახდა ჩვენი საყვარელი შეხვედრის ადგილი, ისე გესაუბრებით, როგორც სიცოცხლეში, შენ ხომ იმდენად მგრძნობიარე და ცხელი გულის ადამიანი იყავი, გვჯერა, ახლაც გესმის ჩვენი... საყვარელო დაიკო, არასდროს მიეცემი დავიწყებას, სანამ შენი ხუთი და-ძმა და მათი შვილები ამქვეყნად დადიან... გვიყვარხარ, გვენატრები, ჩვენს გულებში ხარ საუკუნოდ...

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# TV პროგრამა

**ხუთშაბათი**
**9 ივნისი**

**07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 01.50** "მოამბე" **07.05, 09.15** "დილა" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00** ტ/სერ. "**ბანქოს სახლი**" **12.30** დ/ფ "დიდებული სასახლეები" **13.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **14.05** "ბრაუზერი" **14.30** ან/სერ. "კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" **15.00** დ/ფ "ენტონი ბურდეინი – წინასწარი შეკვეთის გარეშე" **16.45** "ეკონომეტრი" **17.00** ტ/სერ. "**ქესლი**" **19.00** "ტელებლოგი" **19.30** "სიტყვების თამაში" **20.40** "ინტერვიუ" – სალომე ასათიანთან ერთად **21.10** "რეალური სივრცე" **22.00** დ/ფ "თოფ-გიარი" **23.00** ტ/სერ. "**ბანქოს სახლი**" **00.00** "კომუნიკატორი" **00.50** **ფეხბურთში** "ევრო-2016 (პირდაპირი პარიზიდან) **02.00** მხ/ფ "**ჩიხში**" (ტ.როტი) **03.30** "პირადი ექიმი"

**08.00, 10.10, 12.00, 15.00, 17.00, 21.00, 23.30** "ბრიფინგის დრო" **10.00** "გეოფაქტორი" **11.00** დ/ფ "ვისკის საიდუმლო" **13.00** დ/ფ "მუსორგსკი-სურათები გამოფენიდან" **14.00** დ/ფ "შტაინერების ოჯახი" **16.00** დ/ფ "როდესაც ჩინეთი ევროპას იპყრობს" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" (**5** ენაზე) **21.30** "არგუმენტების დრო" **23.00** "ნამდვილი დრო"

**06.00, 14.40** სერ. "**თანხმობა**" **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.40** ქრონიკა **07.35, 08.10, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**ბამბის ველი**" **11.20** სერ. "**დახურული სკოლა**" **12.30** დღის შოუ **17.35, 19.03** სერ. "**პატარძალი**" **20.55** სერ. "**ელიფი**" **22.00** სხვა რაკურსი გია ჯაჯანიძესთან ერთად **00.00** სერ. "**ვენდეტა**" **13** სერ. **01.10** მხ/ფ "**ძილის წინ**" (კ.ფერტი) **02.55** მხ/ფ "**ახალშობილი**" **04.30** მხ/ფ "**გადამწყვეტი ხმა**"

**06.30** სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30, 14.05** "შუა დღე" **15.55** სერ. "**ქარადაი - ახალგაზრდობა**" **16.55** სერ."**ინდური საგა**" **18.45** სერ. "**შენ, მხოლოდ შენ**" **19.45, 20.05** სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" **22.00** პროფილი **00.00** P.S. **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერის დაიჯესტი

**8.00** ან/სერ. "ვარსკვლავური ომები **9.00, 19.30** სერ. "**მენტალისტი**" **10.00, 18.30** სერ. "**კარგი ცოლი**" **11.00** სერ. "**გრეის ანატომია**" **13.00** სერ. "**ძვლები**" **15.00** შუადღე **17.30** ცოლები და ქმრები **18.00** საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები **20.30, 22.30** გალფის გათამაშება **22.45** სერ. "**სამეფო კარის თამაშები**" **0.15** სერ. "**ჯოჯოხეთი ბორბლებზე**" **1.15** მხ/ფ "**გადამზიდი**"

**06.15** სჯანი **06.40** პატერიკი **06.50** დეკორატიული ფლორა "პიონი-იორდასალამი" **07.05** ქართული ალბომი **07.50** ერთი ექსპონატი, ერთი ისტორია **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** სიბრძნისმეტყველება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.40** ერთსულოვნების სალონი **11.30** ეპოქის სახელები **12.10** მხ/ფ "**სამანიშვილის დედინაცვალი**" **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** დეკორატიული ფლორა "ჰელიკონია-სტრიქტ" **15..05** ივერიის ეკლესია **15.20** ქართული ანიმაციური ფილმი **15.40** საუფლონი "ამაღლება" **15.50** დ/ფ "ყველაფერი ქორეოგრაფიაზე--სუხიშვილები" **16.50** კონცერტი **17.35** ჩვენი ფონდი "ამაღლება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი" **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** პორტრეტები **20.20** დ/ფ "ლადო ასათიანი" **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** ლექციები მეფუტკრეობაზე **22.20** ჩვენი საგანძური **22.40** "საუფლონი" ამაღლება-"ამაღლდა ღმერთი ღაღადებითა" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.35** დოკ/ფ **00.25** ისტორიის დღიური **01.25** "შუადღე ერთსულოვნებაზე"

მაესტრო **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) **7.55** "საქმიანი დილა" **10.05** სერ. "**ტატიანა**" **11.05** სერ. "**სიყვარულის იმპერია**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 18.30, 0.00** "ბიზნეს კონტაქტი" **13.30, 14.05, 15.30, 1.00** სერ. **მფარველი ანგელოზი**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **16.05, 17.05, 2.30** სერ. "**კარმელიტა ბოშური ვნება**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **19.05** სერ. "**ქალთა ექიმი**" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.45** სერ. "**სახიფათო ქალი**" **21.30** თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" **22.30** სერ. "**შულერი**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


9 ივნისისთვის

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1323 |
| ევრო | 2.4244 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 3.1106 |
| 100 რუსული რუბლი | 3.2814 |

## ამინდის პროგნოზი 9 ივნისისთვის








## 7 ივნისიდან

## სამკურნალო მცენარეები

ფასი გაზეთთან ერთად 18 ლარი


## იუმორი



კაცმა გადაწყვიტა კატა თავიდან მოიშოროს. რამდენჯერმე სცადა, მაგრამ ის ყოველთვის აგნებდა სახლს. ბოლოს ცხოველი ტომარაში მოათავსა, მანქანაში ჩაჯდა და წავიდა. ოთხი საათი იარა და ბოლოს კატა ტომრიდან ამოსვა და ტყეში გაუშვა. თვითონ კი სახლისკენ გამოეშურა, მაგრამ გზა აებნა. ბოლოს ცოლს ურეკავს და ეკითხება:

– ჩვენი კატა დაბრუნდა?

– კი, დიდი ხანია.

– ყურმილი მიეცი, მითხრას, სახლს როგორ მოაგნო, დავიკარგე!

•••

მასწავლებელმა მოსწავლეებს კითხვა დაუსვა:

– ღობეზე 5 ჩიტი ზის. თქვენ ერთ-ერთ მათგანს ესროლეთ. რამდენი ჩიტი დარჩა ღობეზე? აბა, გოგი, მიპასუხე?

– არც ერთი, პატივცემულო. გასროლის შემდეგ ყველა გაფრინდა.

– სწორი პასუხია – ოთხი, მაგრამ შენი აზროვნება მომწონს!

– მასწავლებელო, შეიძლება მეც დაგისვათ შეკითხვა:

– შემეკითხე.

– სკამზე სამი ქალი ზის და ნაყინს შეექცევა. ერთი მას ლოკავს, მეორე კბეჩს, ხოლო მესამემ ზედაპირი გადაყლაპა და ახლა ჭიქას წუწნის. რომელია მათ შორის გათხოვილი?

ოდნავ სახეწამოწითლებული მასწავლებელი პასუხობს:

– ალბათ ის, რომელიც ჭიქას წუწნის.

– სწორი პასუხია – გათხოვილია ის, რომელსაც თითზე საქორწინო ბეჭედი უკეთია, მაგრამ მე თქვენი აზროვნება მომწონს...

•••

ამერიკაში ჩასული ორი რუსი მეხანძრედ მოეწყო. სკოლაში ხანძარი გაჩნდა. ერთი რუსი მეორე სართულზე ავიდა და ძირს მდგომს უყვირის:

– მე ბავშვებს გადმოვაგდებ და შენ დაიჭირე.

– კარგი!

– ეი, ზანგებს რატომ არ იჭერ?

– მე მეგონა, დამწვარ ბავშვებს მიყრიდი...

•••

კაცი ძაღლის პატრონს მიადგა, გახეული შარვალი დაანახა და ეუბნება:

– თქვენმა ძაღლმა მიკბინა და შარვალი გამიხია, კომპენსაციას მოვითხოვ.

– რა პრობლემაა. მე დავიჭერ და შენ უკბინე!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


## 10 ივნისიდან

## დიდი ექვთიმე

ეს წიგნი დიდი ქართველი მეცნიერისა და მოღვაწის ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების სრულყოფილი წარმოჩენის ცდაა.

მასში შესულია 32 მეცნიერისა და მწერლის სტატიები დიდი ექვთიმეს შესახებ.

წიგნში რეალურადაა წარმოჩენილი ქვეყნიდან გატანილი განძის საქართველოში დაბრუნების დეტალები და დაბრუნებული განძის ერთი ნაწილის ილუსტრაციები.

წიგნი მთლიანად ეძღვნება წმინდა ექვთიმე ღმერთისკაცის განვლილ მოწამეობრივ გზას განსაწმენდლიდან წმინდანობამდე.

**მაგარი ყდა, 725 გვერდი**




ფასი გაზეთთან ერთად 15 ლარი


## პირგაპარსულმა კიტ ჰარინგტონმა ინტერნეტი დაიპყრო



ბრიტანელმა მსახიობმა კიტ ჰარინგტონმა, რომელიც სერიალ „სამეფოთა ბრძოლაში“ ჯონ სოუს როლის შესრულებით გახდა ცნობილი, წვერი მოიპარსა, რამაც სოციალურ ქსელებში დიდი რეაქცია გამოიწვია. მსახიობის ახალ იმიჯზე მსოფლიოს მრავალმა გამოცემამაც დაწერა, ერთ-ერთმა მათგანმა კი ჰარინგტონის საქციელს „წარმოუდგენელი“ უწოდა.



უწვერო ჰარინგტონს სურათი ლონდონში სპექტაკლის „ექიმი ფაუსტის“ დასრულების შემდეგ გადაუღეს, რომელშიც ის მთავარ როლს ასრულებს. მისმა სურათებმა ტვიტერში ნამდვილი აფეთქება გამოიწვია.

ერთ-ერთი ინტერნეტ-მომხმარებლის კომენტარში წერია: „კიტ ჰარინგტონის წვერი ძალიან დაგვაკლდება“. მეორეს აზრით კი, მსახიობი წვერით უფრო სექსუალურად გამოიყურებოდა.

– კიტმა წვერი მოიპარსა და თვალები ცრემლებით ამევსო, – წერს მესამე.

ზოგიერთს კი მიაჩნია, რომ ჰარინგტონი წვერითაც და მის გარეშეც ერთნაირად კარგად გამოიყურება. არიან ისეთები, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ მსახიობის წვერის მოპარსვა იმის ნიშანია, რომ ფილმში მისი გმირი განმეორებით მოკვდა.

## ისტორიული გამარჯვება მადრიდში

### ვაისი: „საუკეთესო ის არის, ვინც იმარჯვებს“



ესპანეთი – საქართველო 0:1

მადრიდი, კოლიზეუმ ალფონსო პერესი

მთავარი არბიტრი: ვილიარმურ თორარინსონი

გოლი: 0:1 თორნიკე ოქრიაშვილი (40)


გაგრძელება მე-10 გვერდზე




## ბრიტანელ მარტოხელა ძაღლს „ტრანსფორმერები 5-ში“ გადაიღებენ




დიდი ბრიტანეთის ყველაზე მარტოხელა ძაღლმა ბლოკბასტერ „ტრანსფორმერები 5-ში“ როლი მიიღო. ამის თაობაზე ინფორმაცია საკუთარი ტვიტერის საშუალებით ფილმის რეჟისორმა მაიკლ ბეიმ გაავრცელა.

ფრეია – ექვსი წლის სტაფორდშირული ბულტერიერია. ის ლივერპულის ძაღლების თავშესაფარში ექვსი თვის ასაკში მოხვდა. დღეის მდგომარეობით მის აყვანაზე უარი 18 ათასჯერ აქვთ ნათქვამი.

ძაღლის თაობაზე პრესაში დაიწერა და მისმა ისტორიამ ბეის ყურადღება მიიპყრო.

– ჩვენ ყველაზე მარტოხელა ძაღლს „ტრანსფორმერებში“ როლი მივეცით, – განაცხადა რეჟისორმა.

ასევე ბულტერიერისთვის ბინის გამოძებნას გეგმავენ, ხოლო თუ ეს მაინც ვერ მოხერხდება, მაშინ ძაღლი ბეისთან დაიდებს ბინას.

– კეთილი იყოს შენი შემობრძანება მსახიობების შემადგენლობაში, – დაამატა რეჟისორმა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, „ტრანსფორმერები 5-ში“ ასევე ითამაშებენ მარკ უოლბერგი, ჯოშ დიუამელი, იზაბელა მონერი. კინოგაქირავებაში ფილმი 2017 წლის ზაფხულში გამოვა.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ინფორმაციის ერთეული გამოთვლით ტექნიკაში; 2. მარგალიტის დამუშავებისა და ვაჭრობის ცენტრი იაპონიაში; 3. მედიცინაში გამოყენებული ფუტკრის მიერ გამომუშავებული ნივთიერება; 4. პოლიტიკური პარტია საქართველოში; 5. ბეისბოლისტის ერთ-ერთი ამპლუა; 8. ყურანის თითოეული თავი; 9. სამხედრო გემთმშენებლობის ცენტრი საფრანგეთში; 10. მზის საჩრდილობელი ქოლგა; 12. საუნივერსიტეტო ქალაქი სან-ფრანცისკოს მახლობლად; 13. მოკლე კინოსარეკლამო რგოლი; 15. ოქროთი ან ვერცხლით დაფარული ხის ან ლითონის ნაკეთობა.

**თარაზულად:** 1. ძველებური აბრეშუმის სამკუთხა ხელსახოცი, ყარაჩოღელთა ტანსაცმლის ატრიბუტი; 6. პირველი ქართული მხატვრული ფილმი; 7. ევროსაბჭოს პრეზიდენტი; 10. პირველი ახლად მოსული თოვლი; 11. ორი ზღვის დამაკავშირებელი ვიწრო გასასვლელი; 13. უკრაინული სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 14. უალკოჰოლო გამაგრილებელი სასმელი; 16. ბრიტანული ტაქსი; 17. თაიგულების შედგენის იაპონური ხელოვნება; 18. ესპანური ფირმა „ზარას“ დამფუძნებელი.



**შეადგინა თ.გოგინაშვილმა**